პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. № 4. მე-3 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები რედაქციის 14—76. მდივნის 10—55.

ხელის მოწერის თვიური ფასი საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—50 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 75 ოთხშაბათი, 4 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20 000 მან. № 75

დღიური

მოკავშირეები მოითხოვენ ლოზანის კონფერენციის გახსნას 16 აპრილისათვის.

ოსმალეთის დელეგაცია ემზადება ლოზანის კონფერენციაზე გასამგზავრებლად.

ეგვიპტეში ციხიდან გაანთავისუფლეს ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერი ზაღლულ ფაშა.

ამ ახლო მომავალში მოხდება ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების ხელახალი არჩევნები.

ფრაკიაში ბერძენთა საოკუპაციო ჯარები [illegible] ბულგარელებს.

საქართველოს პარტიულ საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორისაგან
(ყოფ. გაზტრესტი) რუსთაველის პრ. № 24.
ტელ. 5—48.

1 აპრილიდან გაზეთ „კომუნისტზე“ წესდება შემდეგი ფასი:

საერთო ხელის მოწერა თვიურად—450,000 მან.
ხელის მოწერა მუშებისათვის „ —200.000 „
ერთი ეგზემპლიარი . . . . . — 20,000 „

მუშებს შეღავათი ეძლევათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელს მოაწერენ ადგილკომის (ქარხნის კომიტეტის) საშუალებით, მუშების შემოწმებულ სიების დართვით. 5—5

შაბათს, 5 აპრილს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში შესდგება

საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგშია მოხსენება პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ და საბინაო საკითხი.

(ვრ. 301—2—1) პრეზიდიუმი.

კსენძების პროცესი

მშრომელი მასისათვის საკმაოდ გამორკვეულია სამღვდელოების როლი ჩვენს რევოლიუციაში. გაბატონებული კლასების ერთგული მსახური და ბნელეთის მოციქული სასულიერო წოდება რევოლიუციის დაწყებიდან ყველა მის განკარგულებაში არსებულ საშუალებებით ებრძოდა მუშათა კლასს და მის მთავრობას, რათა აღედგინა ძველი რეჟიმი, მეფის, მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობა და მით დაებრუნებინა თავისი წინანდელი ავტორიტეტი და პრივილეგიური მდგომარეობაც.

სიტყვით და საქმით, სადაც ხელი მიუწვდებოდა, სამღვდელოება ცდილობდა აემხედრებინა ბნელი მასსები მისთვის საძულველ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ის აქტიურად ხელს უშლიდა საბჭოთა მთავრობას იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომელნიც მიმართულ იყვნენ მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, რათა გამოეწვია მასში უკმაყოფილება და შეექმნა პირობები მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დასამხობად. ყველას ახსოვს ის გააფთრებული წინააღმდეგობა, რომელიც გაუწიეს რევოლიუციონურ მთავრობას „კაცთმოყვარე“ ხუცებმა მრავალ მილიონ დამშეულთა ტანჯვისა და სიკვდილისაგან სახსნელად საეკლესიო განძეულობის გამოყენების საქმეში.

მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე მდგარ მთავრობას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო მოთმენა სამღვდელოების ასეთი „საგმირო-მოღვაწეობის“. და ჩვენ ვიცით, რომ ხალხის და რევოლიუციის დაუძინებელი მტრები, მის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლები სამღვდელოების წრიდან სასტიკად იქნენ დასჯილნი საბჭოთა მართლმსაჯულების მიერ. ყველას ახსოვს საეკლესიო კონტრ - რევოლიუციის მამამთავრის ტიხონის და სხვების პროცესები მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში.

„მართლმადიდებელ“ სამღვდელოებას არ ჩამორჩა თავის კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებაში კათოლიკური სამღვდელოებაც. ამას წინად მოსკოვში ადგილი ჰქონდა კსენძების დიდ პროცესს. პროცესზე აშკარებული ფაქტებით მზის სინათლეზე იქნა გამოტანილი ამ ობსკურანტების შავი საქმეები. ბოროტი და განზრახული მიზნით დარღვევა მათ მიერ საბჭოთა კანონების და განკარგულებების, კერძოდ აქტიური წინააღმდეგობის გაწევა კასტელებიდან (კათოლიკური ეკლესიები) მშრომელთა სასარგებლოდ ქონების ჩამორთმევის საქმეში, მათი ცდა სკოლებში რელიგიის და სამღვდელოების გავლენის შენარჩუნების, არალეგალური ორგანიზაციათა ქსელის მოწყობა არსებულ წყობილებასთან საბრძოლველად, ანტი საბჭოთა მოწოდებების გავრცელება, ჯაშუშობა და ამ მიზნით საიდუმლო კავშირი უცხო სახელმწიფოებთან და სახელმწიფო ღალატი.

ამის მიხედვით, საბჭოთა სასამართლომ კათოლიკური კონტრ-რევოლიუციის ორ მეთაურს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, ხუთს—ათი და რვას—სამი წლით დაპატიმრება.

მოხდა სრულებით ჩვეულებრივი ამბავი. საბჭოთა სახელმწიფომ თავის მოქალაქეებს—არსებულ კანონებში გათვალისწინებულ ბოროტმოქმედებათა ჩადენის გამო გამოუტანა შესაფერი განაჩენი ამავე კანონების მიხედვით.

მაგრამ ამ აქტმა „აალაშფოთა“ არა მარტო ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრი, არამედ ყალყზე დააყენა ევროპის კაპიტალისტების ოფიციალური აღმასრულებელი კომიტეტებიც—მათი მთავრობებიც. მათგან პროტესტი პროტესტზე მოდის საბჭოთა მთავრობის სახელზე.

პირველ რიგში ახმაურდა, რა თქმა უნდა, პოლონეთის პანების მთავრობა, რომლის ჯაშუშები აღმოჩნდნენ დახვრეტა მისჯილი პირები.

„ჰუმანიურმა გრძნობებმა“ აალაპარაკეს აგრეთვე ინგლისის მთავრობა, რომლის წარმომადგენელმა მოითხოვა განაჩენის შეჩერება, ამასთან თავხედური მუქარით დასძინა, რომ მისი მოყვანა სისრულეში ზიანს მოუტანს საბჭოთა მთავრობას. ეს არის აშკარა ჩარევა საბჭოთა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში და განახლება ინტერვენციას რომელიც დაამარცხა საბჭოთა რუსეთმა, როგორც ეს თავის პასუხში კიდევაც აღნიშნა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა

მაგრამ ამ ფორმალურ მომენტს, ჩვენი სუვერენულ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევის ცდას რომ თავი დავანებოთ, რა მორალური უფლებით გამოდიან ნამდვილ ბოროტ-მომქმედების დასაცავად ის მთავრობები, რომელნიც სრულიად გულგრილად ჟლეტენ ან ციხეებში ალპობენ უდანაშაულო ხალხს თავიანთ ან დამორჩილებულ ქვეყნებში, მხოლოდ იმიტომ რომ ისინი იბრძვიან თავისუფლებისათვის, ცხოვრების ადამიანური პირობების დამყარებისათვის.

გავიხსენოთ თუ გინდ უკანასკნელი ამბები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ირლანდიაში, ინდოეთში, ეგვიპტეში. ირლანდიაში 14.000 კაცია საპატიმროებში ჩაყრილი და მათ ბარბაროსულად ეპყრობიან ინდოეთში ინგლისის პოლიციამ და ჯარმა დახვრიტეს მრავალრიცხოვანი უიარაღო მშვიდობიანი დემონსტრაცია; ხოლო გადარჩენილებიდან შემდეგ მოწყობილმა პროცესმა 172 კაცს სიკვდილი მიუსაჯა. ასეთი ამბები ხდება ეგვიპტეში და ბევრ სხვა ალაგას.

აი, ეს მთავრობები, რომელნიც ასეთ სიმხეცეს სჩადიან; გვევლინებიან ჰუმანიურ ადამიანების წამოსასხამში მაშინ, როცა საბჭოთა მთავრობა ხალხის ნამდვილ მტრებს ასამართლებს.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეული პასუხი გასცა მათ პროტესტებს. ის შემდეგშიც არ მისცემს ხალხის მტრებს დამღუპველ მუშაობის საშუალებას და დაუზოგველათ გაუსწორდება მათ.

რაც შეეხება იმ სიმხეცეს და ბარბაროსობას, რომელსაც ბურჟუაზიული მთავრობები იჩენენ რევოლიუციონურ მასსების მიმართ, არც ისე შორს არის დრო, როცა როლები შეიცვლება და დღევანდელი მსაჯულები აღმოჩნდებიან ბრალდებულთა სკამზე და მაშინ ბორკილებ ახსნილი ხალხი გაუსწორდება თავის დღევანდელ სულთამხუთავებს ალბად უფრო სასტიკად, ვინემ ამას შობა რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობა: იმდენად დიდია მათი დანაშაული მშრომელ მასსების და ხალხების წინაშე.

აგრონომიული დახმარება

საქართველო სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, მაგრამ მისი მეურნეობა ჯერჯერობით ვერ გასცილებია პირველყოფილ მდგომარეობას; თანამედროვე ტეხნიკურ რაციონალური მეთოდები მიწადმოქმედებისა და საერთოდ მეურნეობისა ნაკლებათ ან, უკეთ რომ ვსთქვათ, სრულებით არ არის გავრცელებული საქართველოს სოფლებში; მამაპაპეულ გუთანს და თოხს ისევ პირველი ადგილი უჭირავს სამეურნეო იარაღებში. გლეხი თავის შეგნებით და გამოცდილებით თითქმის სრულებით ვერ გასცილებია მამაპაპეულ ადათ-წესებს ვერ წარმოუდგენია, რომ მიწადმოქმედებაც იგ უნდა მიდიოდეს წინ მეცნიერების ძლევა მოსილი სხივებით გაშუქებული, როგორც ყოველი სხვა დარგი ცხოვრებისა.

გლეხი თავის სოფელს ვერ გასცილებია, საშუალება არ აქვს თვალყური ადევნოს მეურნეობის განვითარებას ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში. ის ტრადიციულათ, ინერციით ერთხელ არჩეულ გზას მისდევს და სხვა გზას არც ეძებს. რამდენათაც ის დაინტერესებულია თავის მუშაობის და მოსავლის ნაყოფიერების ზრდით, ის შეძლების დაგვარად აფართოებს ნათესის სივრცეს და სრულებით არ ინდობს ამ მიზნის მისაღწევათ არც ტყეს და არც ველს, მაგრამ მიზანს მაინც ვერ აღწევს... მეურნეობის ნაყოფიერება არა თუ არ იზრდება, პირიქით თანდათან კლებულობს... მიწის ნაყოფიერებას აქვს საზღვარი, მოსავლის ერთ რაოდენობას ის ყოველთვის არ მოგვცემს, თანდათან გამოიფიტება და ბოლოს მის დასამუშავებლათ დახარჯულ შრომასაც აინაზღაურებს. მდგომარეობა კატასტროფიული ხდება და მისგან გამოსავალი უნდა ვეძებოთ

ეს გამოსავალი არის აგრონომიული დახმარება მიწის ხელოვნური განაყოფიერების გზით, გაუმჯობესებულ სამეურნეო იარაღების შემოღებით. ყოფილი მთავრობების დროს, როდესაც გლეხი მონობის უღელში იყო ჩაბმული და მხოლოდ მუდმივ საწველ ფურათ სახელმწიფოს ხარჯების დასაფარავათ იყო ცნობილი, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და მისთვის დახმარების მიცემაზე არავინ ზრუნავდა. მიწის რაოდენობა მის ხელშიც ძლიან მცირე იყო, ის სხვის კარებზე საღალოთ მიწის ძებნაში ლევდა სულს.

დღეს მდგომარეობა შეიცვალა: მიწა მიწის მუშას ხელშია. პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებამ სინამდვილეთ აქცია გლეხის საუკუნოებრივი ოცნება, მისწრაფება—გამხდარიყო მიწის სრულ ბატონ პატრონათ. ეს ერთი უმთავრესი მიზანი მიღწეულია, მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია მიწის ნაყოფიერების გაზრდა, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია.

ცარიელი, გამოფიტული მიწა მის დამმუშავებელს ვერაფერს მისცემს, თუ ზომები არ იქნება მიღებული სამეურნეო კულტურის და ტეხნიკის გასაუმჯობესებლად. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ მიწის სიმცირესთან გვაქვს საქმე და როგორი ხასიათიც არ უნდა მიიღოს აგრარული რევოლიუციის მსვლელობამ, გლეხი ყველგან ვერ მიიღებს მიწის საკმაო რაოდენობას, ვერ იქნება მით უზრუნველყოფილი.

სწორეთ ამიტომ საჭიროა ფართო აგრონომიული დახმარების მიწოდება, სამეურნეო ცოდნა-გამოცდილებათა გავრცელება სოფლად, რომ გლეხმა მიწის ცოტა სივრციდანაც საკმაო მოსავალი მიიღოს და მით ხელი შეუწყოს ქვეყნის საერთო ეკონომიურ აღორძინების საქმეს. საბჭოთა მთავრობა, რომელმაც მისცა გლეხს მიწა, ეჭვი არ არის მისცემს მას ამ მიწით სარგებლობის საუკეთესო საშუალებასაც და კიდევ უფრო განამტკიცებს ის მტკიცე, ურყევ კავშირს, რომელიც არსებობს მუშურ გლეხურ მთავრობისა და გლეხურ მასებს შორის.

ის ზომები, რომლებიც მთავრობის მიერ უკვე მიღებულია საბჭოთა რუსეთში და ნაწილობრივ კი საქართველოშიც სასოფლო მეურნეობის ასაყვავებლათ, სრულ გარანტიას იძლევა, რომ აგრონომიული დახმარება ფართო ხასიათს მიიღებს და გლეხურ მეურნეობას ახალი გზით წაიყვანს.

B.

„აღდგომა“ ახლოვდება...

მშრომელმა ხალხმა ჩვენში ეკლესიას წყალი შეუყენა უკვე პირველი რევოლიუციის დროს, როდესაც მან გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა მემამულეებს. აი, ჯერ კიდევ მაშინ ის აშკარა მტრულათ შეხვდა სამღვდელოებას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში სტანჯავდა და სულს უხუთავდა მას.

პირველი რევოლიუციის დროს სამღვდელოება და მასთან ეკლესია, როგორც სისხლი სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი გაბატონებული კლასებისა და თვითმპყრობელობისა, შავი რეაქციის დროსაც ჩვენში სამღვდელოება არ წარმოადგენდა საპატიო ინსტიტუტს.

იმ დროსაც მღვდელს, ეკლესიას სახელი გატეხილი ჰქონდა ხალხის თვალში. ძველი ეკლესიები ინგრეოდა. მათ შეკეთებაზე არავინ ფიქრობდა. 1905 წლიდან ჩვენში თითქმის არც ერთი ახალი ეკლესია არ აშენებულა მიუხედავად იმისა, რომ ბოლოლა გლეხ-კაცობა და თავად-აზნაურები ცდილობდენ ამ სამარცხვინო საქმეში ჩაერიათ მშრომელი გლეხ-კაცობა. და თუ კიდევ დღევანდლამდი მშრომელმა ხალხმა ვერ შესძლო თავიდან მოეცილებია ეკლესია და სამღვდელოება, ეს აიხსნება იმ სახელმწიფოებრივი წესწყობილებით, რომელიც რევოლიუციამდის არსებობდა. მაგრამ, როდესაც ხალხმა სასტიკ ბრძოლაში გაბატონებულ კლასებზე გაიმარჯვა, ამავე დროს დადგა დასასრულის დასაწყისი სამღვდელოებისთვისაც.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენში სამღვდელოება დასუსტებული იყო, ის მაინც გამოვიდა ხალხის წინააღმდეგ, როდესაც მენშევიკურმა პარტიამ მოისურვა სამოქალაქო ომის ატეხა. რასაკვირველია, მშრომელი მასა ასეთ თავხედობას სამღვდელოებას არ აპატიებდა, მან შეტევას შეტევით უპასუხა. ამ სამი თვის წინეთ წამოყენებული ლოზუნგი: სასტიკი ბრძოლა ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ—მისთვის საბედისწერო შეიქნა. საქართველოში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მიყრუებული სოფელი, რომელსაც ეს ბრძოლის ხმა არ მისწვდომოდეს. ჩვენი გლეხკაცობა ყოველთვის იყო გულგრილად ან მტრულად განწყობილი სამღვდელოებისადმი. დღეს მან თავის მტერზე ჟინი იყარა. სდევნის მას მთელი სისასტიკით ეკლესიებიდან და იქ სადაც საუკუნეთა განმავლობაში მონობისა და სიბნელის ხმა ისმოდა, დღეს ისმის ხმა და საქმე წინსვლისა და კულტურისა.

როგორც უკვე ზევით მოვიხსენიეთ, ბრძოლამ სამღვდელოებასთან ფართო ხასიათი მიიღო: სულ ამ ცოტა ხანში ჩამოერთვა სამღვდელოებას და ჩაიბარა მშრომელმა ხალხმა 450 ეკლესია. ეს კი დიდი, არა ჩვეულებრივი, გამარჯვებაა მშრომელი ხალხისა.

ყველამ კარგათ იცის, რომ ჩვენში ხალხს სწყუროდა სკოლის თუ თეატრის აშენება, მაგრამ ამის საშუალება არ ჰქონდა: დღეს კი ყოფილი ეკლესიის შენობებში ამ დანაკლისს შეავსებენ. ჩვენის აზრით, ადგილობრივი ამხანაგების მიერ საჭიროა გამოჩენა დიდი [illegible], რომ ყოფილი ეკლესიები სათანადოთ იქმნეს გამოყენებული. ეს მოითხოვს დიდ ხარჯებს. ცენტრმა ამას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს. საჭიროა ფული, ლიტერატურა, პლაკატები და სხვ. ამ მხრით პარტიის საოლქ. საკომ. განყოფილებას და პოლიტიკურ განათლების მთავარ კომიტეტს დიდი მოვალეობა აწევთ, დიდი ენერგიისა და ფხის გამოჩენა დასჭირდებათ:

დადგა გაზაფხული და მასთან ახლოვდება ეგრედ წოდებული ქრისტიანული დღესასწაულები. გაზაფხულს ყოველთვის თან მოსდევს მხიარულება და ხალხის „მოძრაობა“. ახლოვდება „აღდგომა“, ხალხი ჩვეულებისამებრ სიხარულით და აღფრთოვანებით ეგებება გაზაფხულს და იმ დღესასწაულებს, რომელიც მას მოსდევს. და დღეს, იმ დროს, როდესაც მშრომელი ხალხი, რომელიც თავს კმაყოფილად გრძნობს, ეჭვი არ არის, ამ კმაყოფილებას გამოამზეურებს „აღდგომა“—დღეს ჩვენი ხალხი უმთავრეს შემთხვევაში ეკლესიაში მიეშურებოდა არა პირჯვრის საწერად და სალოცავად, არამედ თავის გასართობად, სახალისოდ, ნაცნობ და მეგობრების სანახავად. ეს უტყუარი ფაქტია.

და დღეს, დღევანდელ „აღდგომას“, ჩვენი ხალხი სულ სხვანაირად შეხვდება მან უკვე, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, დაკეტა ოთხასზე მეტი ეკლესია. ამ ეკლესიებში ადგილი არ ექნება მღვდლების გამათახსირებელ და გონების დამაჩლუნგებელ ლოცვა კურთხევას, არამედ იქ ადგილს დაიჭერს ნამდვილი სიტყვა კომუნიზმისა, განათლებისა და სწავლისა! „ქრისტე აღსდგას“ მაგიერ მშრომელი ხალხი მოისმენს, რომ ის აღსდგა მკვდრეთით; იგი მოისმენს თავის თავგადასავალს: იმ ბრძოლებს და წამებას, რომელიც მან განიცადა მემამულეებისა, სამღვდელოებისა და ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. იგი მოისმენს იმას, თუ როგორ უნდა იბრძოლოს და იაროს წინ მომავალში. ჩვენს ეკლესიებში ადგილი აღარ ექნება „ქრისტე აღსდგას“ და მის ადგილს დაიჭერს მშრომელი ხალხის ჰიმნი თავისი მქუხარე სიტყვებით „ინტერნაციონალი“. თუ ამას ადგილი არ ექნება წელს, ეს აუცილებლად მოხდება შემდეგ წელს.

მომავალი „აღდგომა“ მშრომელმა ხალხმა აუცილებლად უნდა შეიგნოს არა მღვდლების „ქრისტეს აღდგომათ“, არამედ თავის აღდგომათ მონობისაგან და დაეწაფოს ცოდნას და განათლებას.

ა. მთიელი.

დავეხმაროთ რაჭას

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს პრესაში ის უკიდურესი გაჭირვება, რაც რაჭის მაზრას აწუხებს და რაზედაც შეძლებისდა გვარათ ექცეოდა და ექცევა დღესაც ყურადღება ჩვენი ხელისუფლების მიერ. ცენტრიდან [illegible] დახმარებები, შედარებით იმ მოთხოვნილებებთან, რაც მაზრას აქვს, წარმოადგენს წვეთს. გამწვავებული ქრონიკული შიმშილი, მიწის სიმცირის გამო სტიქიის გამუდმებული გამანადგურებელი მოვლენები (ნიადვარი, მეწყერი) გზების და ხიდების გაფუჭება. ამას დაუმატეთ ის ბუნებრივი დაბრკოლება, როგორიც არის მაზრის დაშორება ცენტრზე (ქუთაისზე): უახლოესი მანძილით—66 ვერსით (ჭრებალო) და უშორესი მანძილით კი 140—ვერსით (ღები, ჭიორა, გლოლა, უწერა და სხვა ზემო რაჭის რაიონი ონს ზევით), რაც მეტის-მეტათ აძნელებს თავისუფალ მიმოსვლას და საქონლის მიწოდებას. თუ ყველა ამას წარმოიდგენთ და გაითვალისწინებთ იმ კატორღულ მუშაობას, რასაც ეწევიან ჩვენი ამხანაგები როგორც პარტიულ აგრეთვე სამაზრო ხელისუფლების დარგში, ჭეშმარიტათ თქვენ თვალწინ დადგება ნათლათ დიდი გაჭირვების სურათები.

აი სწორეთ ამ უკიდურესმა გაჭირვებამ აიძულა სამაზრო ხელისუფლება, რომ ამხ. პ. წულუკიძეს აღმასკომის თავმჯდომარეს, მიემართა თბილისში მცხოვრებ რაჭველებს განურჩევლათ პარტიული მიმართულებისა ვისაც არ გაუწყვეტია მაზრასთან კავშირი, მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ მაზრას. ვისაც რითი შეუძლია, რომ ამით სამაზრო ხელისუფლებამ შესძლოს დამთავრება მაზრის მასშტაბით დაწყებული საქმეების. 1) განადგურებული გზების სასწრაფოთ აღდგენა; 2) წაღებული ხიდების აგება; 3) დანგრეული კურორტის (უწერის) აღდგენა; 4) ახალი ფრიად მნიშვნელოვანი საკურორტო რაიონის (რომელიც არ ჩამოუვარდება აბასთუმანს თავის სიმშვენიერით ფიჭვის ტყე, ათამდე სხვადასხვანაირი მინერალური წყლების სიმდიდრით) მოწყობა; 5) **ელექტრო-ჰიდრავლიური სადგურის დამთავრება**, რომელიც უკვე დაწყებულია ქვემო რაჭის რაიონში და შეუძლია დიდძალი ელექტრონის ენერგია მიაწოდოს არა მარტო რაჭის მაზრას, არამედ მეზობელ მაზრასაც, როგორიც არის ლეჩხუმის, და ავტონომიური რესპუბლიკის ახლობელ რაიონებს, თემებს ოსეთში. 6) რაჭის მაზრის ერთად ერთი სიმდიდრის, როგორიც არის ტყეების, რაციონალური ექსპლოატაცია, რაც უკვე დაწყებულია (ხარის თვალზე სდგას ერთი ხეტყის დამამზადებელი ხერხის ქარხანა). რომელსაც შეუძლია ცენტრს ბევრი მასალა მოაწოდოს, და სხვა.

ყოველივე ამისათვის საჭიროა დიდი ენერგია, დიდი მატერიალური რესურსები იმ სისტემატიურ დახმარებებთან ერთად, რასაც ჩვენი ცენტრალური ხელისუფლება უწევს მაზრას. ამიტომ საჭირო ხდება თანაგრძნობა და დიდი მატერიალური დახმარება ყველა იმ რაჭველებისაგანაც ვინც ცხოვრობს არამც თუ აქ, ტფილისში, არამედ ბათომში, ქუთაისში, ფოთში და სხვ. რათა მაზრა ფიზიკურ განადგურებას გადავარჩინოთ დროზე. ამ მიზნისათვის ტფილისის აღმასკომის დიდ დარბაზში კვირას 1 აპრილს მოწვეულ იქნა ტფილისში მცხოვრები რაჭველების კრება, რომელსაც დაესწრო 50 კაცი. კრებაზე ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. წულუკიძემ იმ მეტად მძიმე პირობების შესახებ, რაშიაც საბჭოთა ხელისუფლებას უხდება მუშაობა. მან გააცნო კრებას მთელი [illegible] ის მუშაობა, სამუშევარი რაც ძირითად მაზრაში წარმოებულა მიუხედავათ უკიდურესი სიმშილისა და მრავალ-გვარი დაბრკოლებათა. ამხ. წულუკიძემ მოუწოდა დამსწრეთ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა მაზრის ხელისუფლებასთან ერთად მის კულტურულათ და ეკონომიურათ აღორძინებისა და განვითარების საქმეში. კრებაზე გაიმართა საინტერესო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხ. ამხ. მ. ტოროშელიძემ, დ. ნასარიძემ შამშე ლეჟავამ, ა. კობახიძემ, კ. ენუქიძემ, კ. იაშვილმა, ს. ლომჯანიძემ და აგრეთვე რამოდენიმე უპარტიო ამხანაგებმაც. კამათმა გამოარკვია სავსებით მაზრის უკიდურესი მდგომარეობა.

კამათის დამთავრების შემდეგ ამხ. დ. ნასარიძეს შეაქ წინადადება, რათა თბილისში შესდგეს რაჭის მაზრის დამხმარე მუდმივი კომიტეტი, რომელიც დაისახავს მიზნათ აიღოს აღრიცხვაზე ყველა რაჭველები და შეუდგეს ნივთიერი წყაროების გამოძებნას და სისტემატიური დახმარების მიწოდებას რაჭისათვის. ამ კომიტეტს ეყოლება თავის რწმუნებულები ჩვენი რესპუბლიკის ყველა ცენტრებში. მუშაობის დაწვრილებითი გეგმის გამომუშავება მიენდო კომიტეტს. ეს წინადადება კრების მიერ იქნა მიღებული ერთხმათ, და არჩეულ იქნა ახეთი ათი პირის შემადგენლობით ამავე შემადგენლობიდან იქნა გამოყოფილი მოქმედი აპარატი ხუთი ამხანაგისაგან. ამ დღეებში დაიბეჭდება ჩვენს პრესაში ამ კომიტეტის სათანადო მოწოდება და ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ მას გამოეხმაურება არა მარტო რაჭველები არამედ ყველა ჩვენი ხელისუფლება და პარტიული ორგანოები, მუშები და აგრეთვე მოქალაქენიც. ჩვენ ვიცით ასეთი დახმარების მაგალითები. მაგალითისათვის საყურადღებოა აღვნიშნოთ აქ გურიის ამხ. მოწოდებები ოზურგეთის რკინისგზის გაყვანის შესახებ, რასაც მხურვალეთ გამოეხმაურა ყველა.

არჩეულ კომიტეტის შემადგენლობაში შედიან შემდეგი პირები: 1) ტოროშელიძე მალაქია, 2) ნასარიძე დავით, 3) ლომჯანიძე სიმონ, 4) ვარაზაშვილი ისიდორ, 5) ისაკაძე ა. 6) ლეჟავა შამშე, 7) კობახიძე აკაკი, 8) დვალი კოსტა, 9) ლებანიძე, 10) ბენდუქიძე სპირიდონ. კანდიდატები: 1) ჯაფარიძე ლადო, 2) შარაშიძე, 3) აგლაძე ლადო. აქედან გამოყოფილია ხუთი პირისაგან შემდგარი პრეზიდიუმი: 1) ტოროშელიძე (კომიტეტის თავმჯდომარე) 2) ნასარიძე, 3) ლეჟავა შ. 4) წულუკიძე და 5) ლომ-

დ. ნასარიძე.

უცხოეთის ცხოვრება

მდგომარეობა გერმანიაში

ამხ. ლენინის საექიმოდ ჩამოსული პროფესორები გერმანიის მდგომარეობის შესახებ.

პროფესორმა ფიორსტერმა და პროფ. მინკოვსკიმ აღნიშნეს გონებრივი შრომის მუშაკთა აუტანელი მდგომარეობა გერმანიაში. ცხოვრება გერმანიაში გაძვირდა 5000-10,000 ჯერ, ხოლო თვით პროფესორ-ექიმების შემოსავალი გაიზარდა სულ 500 ჯერ.

სამეცნიერო ცდები თითქმის შეუძლებელი გახდა, ვინაიდან მასალები ძლიერ გაძვირდა, ინსტრუმენტების შეძენა სავსებით მიუწდომელია, ხოლო სახელმწიფო ვერ იძლევა საკმაო დახმარებას.

ძლიერ გართულდა სტუდენტობის მდგომარეობა.

შეძლებული კლასების შვილებმა რევოლიუციის შემდეგ თავი დაანებეს მეცადინეობას. ისინი არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ დაიკავებენ სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობას, ხოლო ამის გარეშე, როგორც სჩანს, მათ არ სურთ მეცადინეობა. ნაკლებ შეძლებულ პირებს საშუალება არ აქვთ განაგრძონ სწავლა. ახალი სტუდენტები ნაკლებია და ესენიც იძულებული არიან თავისუფალი დროს კერძო სამუშაოს მოანდომონ, რათა თავი შეინახონ.

არა ნაკლებ ცუდ მდგომარეობაში არიან მუშები. ყოველ შემთხვევაში, **ისინი ნაცმული არიან და იკვებებიან რუსეთის მუშებზე უფრო უარესად.** ასეთი დასკვნა გამოაქვთ პროფ. ფიორსტერს და პროფ. მინკოვსკის, როდესაც ისინი აკვირდებიან, უმთავრესად, მოსკოვის ცხოვრებას.

გერმანიის მცხოვრებთა ყველა წრეებს ემჩნევათ დიდი ლტოლვა რუსეთისაკენ.

ფრანგების თავდასხმის და მათ მიერ რურის დაკავების შემდეგ, თვით ბურჟუაზიული გაზეთებიც ცდილობენ რუსეთთან დაახლოვებას. ამის წინააღმდეგნი არიან სოციალ-დემოკრატები. ისინი შიშობენ, რომ ამ დაახლოვებას გამოიყენებენ კომუნისტები, რომლებიც ისედაც თანდათანობით ნიადაგს უსპობენ შეიდემანელების გავლენას მუშათა მასებში.

— ეს არის საკითხი სამინისტრო თანამდებობის შესახებ--ამბობს პროფ. ფიორსტერი რუსეთის ემიგრანტების წრეები გაზეთებში ავრცელებენ ყალბ ხმებს „რუსეთის საშინელებებზე და არეულობაზე“ ეს ხმები აშინებს ობივატელებს, მაგრამ ეს ხმებიც სრულიად ჰკარგავენ მნიშვნელობას.

ხოლო ეხლა, როდესაც „დასავლეთის მეზობლები“—ფრანგები მივიდნენ იქამდე, რომ რურში თავიანთ ჯარების საჭიროებისათვის კონფისკაციას უშვრებიან რძეს და ამშვენ, ისედაც შევიწროებულ გერმანელების ბავშვებს, ლტოლვა რუსეთისაკენ კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება.

— ეჭვი არ არის,—აღნიშნავენ,—რომ მეგობრობა რუსეთ-გერმანიის შორის აუცილებელია და ამას დიდი ხანი არ დააყოვნებს.

მით უკეთესი

შეერთებულ შტატების იუსტიციის მინისტრი დაინტერესდა საკითხით იმის შესახებ, რჩება კიდევ აისედორა დუნკანი ამერიკის მოქალაქეთ თუ არა. საქმე იმაშია, რომ ის გაყვა ცოლათ რუსეთის პოეტს ესენინს, ვალდებული იყო შეეტანა თავისი თავი სათანადო სიაში ამერიკაში და ეთხოვა აღედგინათ ის ამერიკის მოქალაქის უფლებებში, ამისთანავე ასეთი შეუძლებლობის დაკმაყოფილებაა ამერიკაში დამოკიდებულია მთხოვნელის „კარგ ზნეობრივ ყოფაქცევისაგან“. იუსტიციის მინისტრის ფიქრით აისედორა დუნკანი არ არის კარგი ყოფაქცევის, რადგან ის გაყვა ცოლად ბოლშევიკს და უარყოფითად დაახასიათა შეერთებულ შტატების პოლიტიკური და ეკონომიური წეს წყობილება. ცნობილი მოცეკვავე იძულებულია დარჩეს საბჭოთა რუსეთის მოქალაქეთ.

კომინტერნი

კომინტერნის მოწოდება ესსენის ამბების გამო

მოსკოვი: 3 აპრილი. ესსენის ამბების გამო კომინტერნის აღმასკომმა მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის სამხედრო წრეები ტყვიისმფრქვევლების ცეცხლით აცნობენ მსოფლიო პროლეტარიატს რურის ოკუპაციის შინაარსს. ესსენის მუშების გვამები მოწმობენ, რომ ოკუპაცია მიმართულია არა გერმანიის კაპიტალისტების, როგორც ამაში არწმუნებდენ საფრანგეთის გენერლები რურის მუშებს, არამედ გერმანიის მუშების წინააღმდეგ. პირფერობით ღვრის რა ცრემლებს, გერმანიის ბურჟუაზია გულში იცინის ამ კმაყოფილებით ამ სისხლის ღვრის გამო, რომელსაც მან თვითვე შეუწყო ხელი. მათი ანგარიშით, ფრანგების იმპერიალისტების მხეცობამ უნდა დაავიწყოს გერმანიის მუშებს უსირცხვილობა გერმანიის კაპიტალისტების, რომლებიც საფრანგეთის იმპერიალიზმთან ბრძოლის მთელს სიმძიმეს აკისრებენ მუშებს. სისხლის მღვრელი შეტაკებები აზარებს აგრეთვე პუანკარესაც. რადგანაც მან ხელი უნდა შეუშალოს ფრანგების ჯარების რურის მუშებთან დაძმობილებას. მოწოდება მიმართავს საფრანგეთის მუშებს, რათა უკანასკნელებმა გამართონ დემონსტრაციები რურის ოლქის სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ. გერმანიის მუშებს მოუწოდებენ საფრანგეთის ჯარის კაცებთან დაძმობილებისა და დემონსტრაციისაკენ გერმანიის ნაციონალისტების ცდების წინააღმდეგ, რომლებიც უიარაღო მუშებს აგებენ ფრანგების ხიშტებზე.

ბელგია

ბელგიის კომპარტია

ბელგიის კომუნისტური პარტია არის ყველაზე ახალგაზრდა კომპარტია, იგი საბოლოვოდ ჩამოყალიბდა კომინტერნის მესამე კონგრესის შემდეგ. და ამ ნორჩმა პარტიამ, რომლის არსებობა 2 წელს არ აღემატება, მოახერხა ბელგიის პროლეტარიატის მნიშვნელოვან ნაწილის სიმპატიის მოპოვება და ამავე დროს განიცადა მთელი სიმძიმე ვანდერველდეს დემოკრატიის პროვოკატორთა თავდასხმისა. მარტის პირველ რიცხვებში (7 ან 8) მეფის „ოხრანკამ“ თავს დაესხა ბელგიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს (რომელიც ბრიუსელში იმყოფებოდა) და პარტიის ბევრ პროვინციელ კომიტეტებს. „ოხრანკებმა“ დააპატიმრეს მთელი ცენტრალური კომიტეტი და სხვა ამხანაგები რიცხვით 40 კაცი, გაიტაცეს დიდძალი ლეგალური ლიტერატურა და დაპატიმრებულებთან ერთად ჩაჰკეტეს შავად კლიტულში. მაგრამ რათ წაიღო „ოხრანკამ“ ლეგალური ლიტერატურა: ბროშიურები, ჟურნალები გაზეთები და სხვ? ამაზე პასუხს იძლევა ვანდერველდეს ოფიციალური გაზეთი „ლე პეპლი“, 11 მარტის ნომერში, სადაც ჩვენ ვკითხულობთ, რომ „ყველა ამ ლიტერატურაში მოსამართლემ უნდა ეძებოს და აღმოაჩინოს შეთქმულების ფაქტები“. ბელგიელ ამხანაგების შეთქმულება კი მდგომარეობს იმაში, რომ ბორინაჟში მემაღაროეთა და მელითონეთა გაფიცვების დროს ბელგიელი კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ ბელგიელ მუშების ბრძოლას. მაგრამ რადგან ამავე დროს საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებმა ვანდერველდესი და რენოდელის ლოცვა-კურთხევით გაგზავნეს იქ სალდათები რურის დასაკავებლად, ცხადია „შეთქმულებათ ითვლება ის, რომ ბელგიის მემაღაროები და მელითონეები შეეცადნენ თავის ნახევრად დამშეულ არსებობის გაუმჯობესებას.

დაპატიმრებულ ამხანაგებიდან ჯერ ჯერობით ციხეში დატოვებულია 18 კაცი, რომელთა შორის იმყოფებიან აქტიური ამხანაგები ამხ. ოვერსტრატენის და ჟაკემოტის მეთაურობით.

ამხ. ვან-ოვერსტრატენი არის ბელგიის კომპარტიის მდივანი და ამავე დროს ერთ-ერთი პარტიის დამაარსებელთაგანი. ომმა და ვანდერველდეს და კომპანიის ღალატმა გააკაჟეს ახალგაზრდა მებრძოლი, რომელმაც ჯერ კიდევ 1918 წელს მოაწყო კომუნისტური ორგანიზაცია ვალონიაში: ეს ორგანიზაცია შეუერთდა რა ამხ. ჟაკემოტის და ბელგიის სოციალისტურ პარტიის მარცხენა ფრთას, გადაიქცა ბელგიის კომუნისტურ პარტიად.

ამხ. ჟაკემოტი დიდი ხანია იბრძვის ბელგიის პროლეტარიატის რიგებში.

ის არის მოსამსახურეთა პროფკავშირთა მდივანი და ომის დაწყების დღიდანვე დადგა ბელგიის მუშათა მოძრაობის მარცხენა ფრთაში.

მიუხედავათ იმისა, რომ პარტია ჯერ სულ ახალგაზრდაა, რომ მისი ორგანიზმი ჯერ კიდევ საკმაოთ არ არის გამაგრებული, მასში მაინც აღმოჩნდენ საკმაო ძალები, რომელნიც შესცვლიან ბელგიის პროვოკატორების მიერ რიგიდან გამოსულ ამხანაგებს.

პარტიის ყოველკვირეული ორგანო „წითელი დროშა“ გამოვიდა თავის დროზე და გავრცელდა 10,000 ეგზემპლიარად, ნაცვლად 7 000-სა.

როგორ უცქერიან ოხრანკის [illegible] ბ-ნი ვანდერველდე და მისი პარტია?

აი რას სწერენ მისი თანამშრომელნი ზემოხსენებულ გაზეთის 10 მარტის ნომერში:

„სოციალისტურ წრეებში რამდენიმე ათეული კომუნისტის და მოკომუნისტეს დაპატიმრებამ ჯერ გაოცება გამოიწვია და შემდეგ სიცილ-ხარხარი“, ამ სიტყვებს იმიტომ აქვს გასმული ხაზი, რომ ბელგიის სოციალისტური პარტიის ასეთი სიტყვები წაიკითხოს თვითეულმა მუშამ, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს ბ-ნ ვანდერველდეს კომედიანტობა და მახინჯის დეკლამაცია მისი მოსკოვში ყოფნის დროს მისი მეგობრების და თანამოაზრეთა დასაცავათ.

ვანდერველდე ხარხარებს! მაგრამ ვნახოთ ვინ გაიცინებს უკანასკნელად.

საფრანგეთი

კომპარტიის ცენტრალური ორგანო

პარტიაში დღევანდელი მდგომარეობა ადასტურებს იმ განზრახვის უსაფუძვლობას, რომ „იუმანიტეს“ ნამდვილ პარტიულ გაზეთად გადაქცევა, როდესაც ხელმძღვანელი წერილი გამოხატავს არა ამა თუ იმ პირის აზრს და პასუხისმგებელია პარტიის ცენტრალური კომიტეტი. გამოიწვევს ტირაჟის დაცემას და გაზეთისადმი ინტერესის შესუსტებას.

აი რას გვეუბნება ჩვენ ციფრები. ოქტომბერში „იუმანიტეს“ ტირაჟი დაეცა 160,000-დი, ნოემბრის შუა რიცხვებში აიწია 180 000-დე და ხელახლა დაეცა დეკემბერში 162 000-დე, მსოფლიოს მეოთხე კონგრესის შემდეგ, როდესაც ფრანგი ამხანაგები დაბრუნდენ სამშობლოში და წარუდგინეს პარტიულ კონფერენციას (რომელიც იანვარში იყო მოწვეული) ანგარიშები კომინტერნის ყველა გადაწყვეტილებათა შესახებ, ამ კონფერენციამ დაადგინა ცხოვრებაში გატაროს კომინტერნის ყველა გადაწყვეტილებანი, დაიწყო „იუმანიტეს“ კომუნისტურ გაზეთად გარდაქმნისათვის მზადება. პარტიიდან კარიერისტულ ელემენტების—ფროსარის და სხვების გაქცევამ, პუანკარეს მთავრობის რეპრესიების გამო (ამხ. კაშენის, მონმუსოს, ტრენის და სხვ. დაპატიმრება) ბოლო მოუღო საბოტაჟს კომინტერნის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების დროს. „იუმანიტეს“ გაუმჯობესება დაეტყო. გაზეთი დღითი დღე სცდილობს აღმოფხვრას ძველი ჩვეულებანი და ცრუმორწმუნეობა, და მუშათა მასებიც ფხიზლად გამოეხმაურება ამას. იანვარში „იუმანიტეს“ ტირაჟი გაიზარდა 218 ათასამდე და ეხლა იგი უდრის 182 ათასს. აგრეთვე საინტერესოა სესხი, რომელიც პარტიამ გამოუშვა პრესის დასახმარებლად: უკანასკნელ ხანებში მუშები გამოეხმაურენ ამას აქციების გაძლიერებული შეძენით. უკვე გაიყიდა 242 675 ფრანკის აქციები პირველი სერიიდან, რომელიც უდრის სულ 300 ათას ფრანკს.

იტალია.

იტალიის კომპარტიის მოწოდება.

იტალიის კომპარტიის ცეკამ მიმართა მოწოდებით კომინტერნის ყველა სექციებს. ამ მოწოდებაში სხვათა-შორის ნათქვამია:

„აქით ვაცნობებთ ყველა ჩვენ უცხოელ ამხანაგებს და იტალიელ პოლიტიკურ ემიგრანტებს, რომ ჩვენმა პარტიამ მოახერხა ცენტრალური ორგანოების შენარჩუნება და რომ ეხლა იგი შეუდგა რეორგანიზაციას. ჩვენ მოვუწოდებთ ევროპის და ამერიკის ძმურ პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს თვალ-ყური ადევნონ ემიგრანტების დახმარების საქმეს და აგრეთვე კონტროლი გაუწიონ მათ კომუნისტურ მოღვაწეობას და აიძულონ ისინი შევიდნენ კომუნისტური ინტერნაციონალის სათანადო სექციებში“.

შემდეგ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა თვალ-ყური ადევნონ იმას, რომ ემიგრანტების რიგებში არ შეიპარონ პროვოკატორები და რომ იტალიის კომპარტიისათვის დახმარების საქმე უნდა დაედოს კომინტერნის სექციების ცეკას ხელში.

ყველა თანხები, რომელიც საზღვარგარეთ იკრიბება იტალიის კომპარტიის დასახმარებლად, უნდა გაიგზავნოს გერმანიის კომუნისტური პარტიის ცეკაში.

ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო დროებითმა კომიტეტმა თავის თავმჯდომარის ამხ. ცეტკინის საშუალებით მიმართა კომინტერნის ყველა სექციებს მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოეწყოს განსაკუთრებული კომისიები იტალიის ამხანაგების დასახმარებლად შემოწირულებათა შესაკრებად და აგრეთვე საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად.

აღნიშნული კომიტეტი დაარსებულია კომინტერნის, პროფინტერნის და ახალგაზრდობის კომინტერნის მიერ.

რადიო-ტელეგრამები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტენი № 16).

მოსკოვი. 2 აპრილი. ტემპერატურა 37,8 პულსი—112. შაბათს საღამოს დაეტყო ფილტვების კატარრალური მოვლენა, რომელიც არ ძნელდება. საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მოსკოვი—2 აპრილი, დღის 2 საათი.

პროფესორები: **მინკოვსკი, ფიორსტერი, კრამერი, ბუმკე.**
პრივატ-დოცენტი: **კოჟევნიკოვი.**
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: **სემაშკო.**

რურის ოლქის ოკუპაცია

სიტყვა და საქმე.

ბერლინი. 3 აპრილი. გაზეთი „ფორვერტსი“ მოაგონებს, რომ იმ დღეს, როცა პუანკარემ განუცხადა ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენლებს, რომ საფრანგეთის მთავრობა ებრძვის არა გერმანიის მუშებს, არამედ გერმანიის კაპიტალისტებს, სწორეთ ამ დღეს საფრანგეთის ჯარები ესენში თავს დაესხნენ მუშებს და მოკლეს 43 კაცი.

კუნოც ხელს უწყობს?

ბერლინი. 3 აპრილი, ბერლინის გაზეთების ცნობით კანცლერი კუნო რამდენიმე ხნის წინათ არა თუ იღებდა ნაციონალისტური შეთქმულების ხელმძღვანელ ლეიტენანტ როსბახს, არამედ მისი პირადი მდივანი არის ბერლინის ნაციონალისტური კლუბის წევრი, რომლის წევრები, და მათ შორის ალბათ კუნოს პირადი მდივანიც, ხელს უწყობდენ შეთქმულებას. გაზეთები უსაყვედურებენ კუნოს, რომ მიუნხენში ყოფნის დროს მან პატივისცემით მოიხსენია რეაქციონური ორგანიზაციები. დასასრულ გაზეთები ეჭვობენ, თითქო კუნომ არ იცოდეს, რომ მონარქისტული საზოგადოებები და კავშირები მიზნათ არ ისახავენ სახელმწიფო გადატრიალებას.

ესენის ამბები.

პარიზი. 3 აპრილი. საფრანგეთის ხელისუფლებამ, კრუპის ქარხნებში მომხდარი ამბების გამო, დაატუსაღა ამ ქარხნის ოთხი მთავარი დირექტორი გერმანიის პრესა უარყოფს დირექციის დანაშაულს 31 მარტს მომხდარ ინციდენტში. ფრანგული პრესა თავის მხრივ ამტკიცებს, რომ დირექციასთან წინასწარ შეუთანხმებლად მუშები ვერ შესძლებდენ სახელოსნოების მიტოვებასო.

ბერლინი. 3 აპრილი. ესენიდან მიღებული ცნობებით, ირკვევა რომ საფრანგეთის ჯარების სასტიკი საქციელი, გამოწვეულია ჯარის სარდლობის და უმაღლესი კომისიის დაუდევრობით, რასაც შედეგათ მოყვა ისეთი სისასტიკე, რომელსაც ოკუპაციის მთელს პერიოდში არ ქონია. საქმე იმაშია, რომ კრუპის ქარხნების სამანქანო განყოფილების დაკავების შემდეგ საფრანგეთის ჯარები უცდიდენ უმაღლესი კომისიის განკარგულებებს. კომისია მოვიდა მხოლოდ საათის შემდეგ და რადგან ყველა მუშები შეკრებილი იყვენ, ისევ უკან გაბრუნდა ჯარებისათვის დირექტივების მიუცემლათ. მიუხედავათ იმისა, რომ მუშების წარმომადგენლები შეეცადენ თავიდან აეშორებიათ კატასტროფა, საფრანგეთის ჯარებმა სროლა აუტეხა მუშებს.

ბერლინი. 3-4. აპრ. ესენში მომხდარი ამბების გამო კავშირი ბერლინსა და ესენს შორის გაწყვეტილია.

ოკუპაციის გარშემო

დახმარება რურის ლტოლვილებს.

მოსკოვი. 3 აპრილი. გერმანიის მთავრობა გზავნის საშუალებებს რურის ლტოლვილებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. დახმარების აღმოჩენის საქმეს კისრულობს პროფკავშირების წითელი ჯვარი. სულ რურიდან გადასახლებულია 2 240 კაცი.

ფრანგები წინ იწევენ.

რომი. 3 მარტი. ვოლფის სააგენტოს მიერ მანგეიმიდან მიღებული ცნობით, საფრანგეთის ტყვისმფქვეველთა სამმა რაზმმა გადაიარა ნეკარი. ამ ჯარის ნაწილმა დაიკავა ბენცის ძველი ქარხნები, მეორე კი გაიმართა საეგურისაკენ და დაიკავა ის.

„სოციალისტი“ ვანდერველდე და კონტრიბუცია.

პარიზი. 3 აპრილი. სოციალისტების კონფერენციაზე ბრიუსელში ვანდერველდე იცავდა გერმანიის მიერ ბელგიისა და საფრანგეთის სასარგებლოდ კონტრიბუციების გადახდის საჭიროებას. ვანდერველდეს შემდეგ გამოსული ორატორები მოუწოდებენ გერმანელ სოციალ-დემოკრატებს მხარი არ დაუჭირონ კუნოს მთავრობას.

დაწვრილებითი ცნობები ესენის ამბების შესახებ.

მოსკოვი. 3 აპრილი. ბერლინიდან მიღებული ცნობები ნათელს ფენენ ესენში მომხდარ ამბებს. **შეტაკების დროს,** რომელიც მოხდა საფრანგეთის ჯარებსა და მუშებს შორის. **მოკლული იქმნა 11 კაცი, მათ შორის კომუნისტი უნდლერი, დაჭრილია 54 მუშა.**

„როტე-ფანეს“ ცნობით, ნაციონალისტები შეეცადენ ესარგებლათ საფრანგეთის ჯარების მიერ საავტომობილო გარაჟების დაკავებით და გამოეწვიათ შეტაკება კრუპის ქარხნის მუშებსა და ფრანგებს შორის. ბერლინის გაზეთები წერილებში ვეებერთელა სახელწოდებით „ესენის სასაკლაო“ ცდილობენ მომხდარი ამბები გამოიყენონ ნაციონალისტური გრძნობების გასაღვიძებლად.

ირკვევა, რომ კომუნისტი უნდლერი პირველად დაეცა მსხვერპლად, როცა შეეცადა ნაციონალისტები შეეჩერებია. „როტე-ფანეს“ აუწყებს, რომ ფრანგმა ოფიცერმა უარი განაცხადა მუშებთან მოლაპარაკებაზე და ბრძანება მისცა ჯარს ცეცხლი გაეხსნათ.

ახლო აღმოსავლეთი

დეპუტატ ალი-შუკრის დაკარგვა.

ანგორა. 31 მარტი. დღეს ოსმალეთის დიდ ეროვნულ საბჭოს სხდომაზე მთელი რიგი ორატორებისა გამოსთქვამდენ აზრს, რომ საიდუმლოთ დაკარგული ტრაპიზონის დეპუტატი ალი-შუკრი მოკლულია პოლიტიკური მოტივებით. მემარჯვენე ჯგუფის ორატორებმა წინადადება მისცეს მთავრობას სასწრაფოთ აღმოაჩინოს, მკვლელები მოითხოვდენ რა წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობის გადადგომას. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მთავრობის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები მომხდარ ამბების გამოსარკვევათ.

პრესა ალი-შუკრის დაკარგვის შესახებ.

ანგორა 3 აპრილი. ოსმალეთის მთელი პრესა ალაპარაკებულია ტრაპიზონის დეპუტატის ალი-შუკრის დაკარგვის შესახებ. გაზეთი „ხაკიმიეტ მილიე“ ამბობს, რომ არავითარი საფუძველი არ არის ვიფიქროთ, რომ ალი-შუკრას დაკარგვა გამოწვეულია პოლიტიკური მოტივებით. ალი-შუკრი იყო მეჯლისში მემარჯვენე ჯგუფის მუდმივ ორატორათ. 1921 წლის იანვარში და შემდეგ იმავე წლის მარტში ის ხელმძღვანელობდა ტრაპიზონის გაზეთს „ისტიკბალს“.

მიისწრაფიან გემრიელ ლუკმისაკენ.

ლონდონი. 2 აპრილი. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ ამერიკის მთავრობამ აუწყა ოსმალეთის კომისართა საბჭოს, რომ ამერიკას განზრახული აქვს წინადადება მისცეს ოსმალეთის მთავრობას, რათა მან დაადასტუროს 15 წლის წინეთ ადმირალ ჩესტერის მიერ მიღებული კონცესია. ამ კონცესიის თანახმად ამერიკელებს უფლება ეძლეოდა გაეყვანათ რკინის გზები, დაემუშავებიათ მცირე აზიის და მესოპოტამიის ნახშირისა და ნავთის რაიონები. ამერიკის მთავრობა გამოსთქვამს იმედს, რომ ამ კონცესიის დადასტურება ხელს შეუწყობს მის ღონისძიებას, უზრუნველყოს ოსმალეთისათვის „ღია კარების“ საკითხის დადებითათ გადაწყვეტა.

ყოფილ მინისტრების გასამართლება.

პარიზი. 2 აპრილი. სოფიიდან მიღებულ ცნობების თანახმათ ბოლგარიის უმაღლეს სასამართლომ მიუსაჯა ყოფილ მინისტრებს რადოსლავოვს, ტეშოვს, პაშაევს, პანოვს, დიჩევს და პეტკოვს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ომისათვის, მუდმივი ციხე; გენერალი სიმუსი ჟეკოვს და გენერალებს ნაიდენოვს და კინცს 10 წლის ციხე; გენერალ ბაიჩევს 5 წლის ციხე. ყველა ისინი უფლება ახდილი არიან და მათ ქონებას კონფისკაცია უყეს.

ლოზანის კონფერენციის განახლება

რომი 2 აპრილი. ლოზანიდან იტყობინებიან, რომ ლოზანის კონფერენცია მოკავშირეთა და ოსმალებს შორის განახლდება 15 აპრილს.

მოკავშირეთა პასუხის განხილვა.

პარიზი. 2 აპრილი. ოსმალეთის დიდი ეროვნული საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიაში ისმეტ ფაშამ მოხსენება გააკეთა მოკავშირეთა ნოტის შინაარსის შესახებ. ამის შემდეგ შესდგა კომისართა საბჭოს სხდომა იმავე საკითხის შესახებ.

გემრიელ ლუკმისთვის.

ბერლინი. 3 აპრილი. „ვესტმინსტერ გაზეთის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ოფიციალური ცნობით ამერიკის მთავრობის სახელმწიფო დეპარტამენტს განზრახვა აქვს მომავალ ლოზანის კონფერენციაში ახლო აღმოსავლეთის საქმეების გამო უფრო ახლო მონაწილეობა მიიღოს ვიდრე დღემდი იღებდა. ამერიკის განზრახვა აქვს მთავარი ყურადღება მიაქციოს კაპიტულიაციის და სხვა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის მესოპოტამიაში თანასწორ უფლებებით სარგებლობის საკითხს. კორესპოდენტი გამოსთქვამს აზრს, რომ ლოზანის კონფერენციას მოყვება ახალი მსოფლიო საზავო კონფერენციის მოწვევაო.

არ არიან თანახმა, მაგრამ...

პარიზი. 3 აპრილი. ინგლისის საგარეო სამინისტრომ გამოაქვეყნა ოსმალეთისადმი მოკავშირეთა ნოტის ტექსტი. ამ ნოტის თანახმად მოკავშირე სახელმწიფონი მზად არიან დაათვალიერონ იურიდიული საკითხები, მაგრამ უარს ლაპარაკობენ ეკონომიურ საკითხების გამოყოფაზე საერთო ხელშეკრულებიდან.

ოსმალეთის დელეგაციის გამგზავრება.

პარიზი. 3 აპრილი. კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაცია მიმდინარე კვირის დამლევს გაემგზავრება ლოზანის კონფერენციაზე მოლაპარაკების საწარმოებლად.

საბერძნეთის დელეგაციის შემადგენლობა.

რომი. 3 აპრილი. ათინიდან მოსულ ცნობებით ლოზანაში განახლებულ სამშვიდობო კონფერენციაზე მიემგზავრება დელეგაცია, რომელშიაც შედიან ვენიზელოსი და კაკლამანოსი.

ბერძნების მხეცობა.

რომი. 3 აპრილი. სოფიიდან მოსულ ცნობებით, 1330 ბულგარელი, რომელნიც გაატარეს ფრაკიაში ბერძნების მიერ დაკავებულ ტერიტორიით, განიცდიან ბერძნების მხრით აუწერელ მხეცურ მოპყრობას.

რითი აიხსნება?

პარიზი. 3 აპრილი. პარიზის პრესის ცნობებით საბერძნეთის მთავრობამ არ მიიღო ამერიკის ფინანსისტების წინადადება საბერძნეთისათვის 12 მილიონ დოლარის მიცემის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფილია თამბაქოს ექსპორტით.

შეთანხმდნენ.

პარიზი. 3 აპრილი. მადრიდიდან მოსულ ცნობით, ისპანიამ დაადასტურა ხელშეკრულება მაროკოში პროტექტორატის მხარის დაჭერის შესახებ საფრანგეთის მთავრობის და არმიის მეგობრულ თანამშრომლობით და დახმარებით.

ზაგლულ-ფაშას განთავისუფლება.

რომი. 3 აპრილი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ „ტაიმსი“ აქვეყნებს აუარებელ მისალოც წერილებს, რომელიც მიიღო ეგვიპტის ნაციონალისტების ლიდერმა ზაგლულ-ფაშამ მისი საპატიმროდან განთავისუფლების გამო. განთავისუფლებული ზაგლულ ფაშა ახლო მომავალში მიემგზავრება პარიზში სამკურნალოთ.

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის ახალი არჩევნები.

ლონდონი. 3 აპრილი. კონსტანტინოპოლიდან მოსულ ცნობებით, ახლო მომავალში შეუდგებიან ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის ახალ არჩევნებს ერთ-ერთ მიზნათ ასახელებენ იმ გარემოებას, რომ ქემალ-ფაშის მთავრობის მდგომარეობა ამ ჟამად გაცილებით უფრო მტკიცეა, ვინემ მოკავშირეებთან ხელშეკრულობის დადების დროს იქნება.

გაემგზავრა სამართლიანობის დასაცავათ.

პარიზი. 3 აპრილი. ინგლისის უმაღლესი კომისარი ლონდონიდან ბაღდადში გაემგზავრა.

ოსმალეთის დიდი ეროვ. ყრილ გადაწყვეტილება.

პარიზი. 3 აპრილი. გადაწყვეტილება ახალი არჩევნების დაუყონებლივ დანიშვნის შესახებ მიიღო თვით ოს. დიდმა ერ. ყრილობამ.

რუსეთ-იაპონიის შეთანხმება

თანხის დაბრუნება.

მოსკოვი 3 აპრილი. რადგან რუსეთისა და იაპონიის ხელისუფლების მიერ მიღწეულია შეთანხმება იაპონელებზე რუსეთის სათევზო სამრეწველოების იჯარით გაცემის შესახებ, იაპონიის მინისტრთა საბჭომ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენების თანახმად, დაადგინა დაუბრუნოს რუსეთის მთავრობას ის თანხა, რომელიც გადასცეს თევზის მრეწველებმა იაპონიის მთავრობას შესანახავათ.

ამხ. იოფფეს სასარგებლო მოგზაურობა.

მოსკოვი 3 აპრილი ტოკიოდან მიღებულ ცნობების თანახმად, ვიკონტ ტოტომ ინახულა რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩინეთში ამხ. იოფფე. მასთან საუბრის შემდეგ ტოტომ განუცხადა ჟურნალისტებს: „იოფფეს ჩამოსვლა სასარგებლოა, რადგან მისი საშუალებით იაპონიის ხალხში ფეხი მოიკიდა შეგნებამ, რომ მიუცილებლათ საჭიროა საბჭოთა რუსეთთან შეთანხმებაო.

დამოუკიდებელთა ყრილობა

უკანასკნელი ცნობა

მოსკოვი. 3 აპრილი. დამოუკიდებელთა ყრილობაზე ბერლინში გამოცხადდა 60 დელეგატი. ლედებურის აზრით პარტიის უახლოეს ამოცანას შეადგენს ფართო მასების დაპყრობა, რადგან დამოუკიდებელთა პარტია წარმოადგენს მუშათა კლასის უმნიშვნელო უმცირესობას. რურის საკითხის შესახებ კამათის დროს გამოირკვა ლედებურის და ლიბკნეხტის ჯგუფთა შორის არსებული სასტიკი განხეთქილება: ლიბკნეხტი მოითხოვდა ბრძოლის გადატანას რევოლიუციონურ კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც მიმართული იქნება უპირველესად ყოვლისა გერმანიის კაპიტალისტების წინააღმდეგ. ლედებურის სიტყვით ლიბკნეხტის განცხადება თავზარს სცემს საერთაშორისო სოციალიზმს, რადგან პარტიამ ყოველთვის თავიდან უნდა აიცილოს ყოველივე ის, რაიც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საფრანგეთის მილიტარიზმის ხელის შემწყობი, დიდის უმრავლესობით მიღებულია ლიბკნეხტის რეზოლიუცია, რომელშიაც აღიარებულია პრინციპი საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლისა გერმანიისა და საფრანგეთის კაპიტალისტების წინააღმდეგ. რეზოლიუცია უარყოფს მთლიან ეროვნულ ფრონტს და პასიურ წინააღმდეგობას და მოუწოდებს მუშებს გამოიყენონ რურის კონფლიქტი გერმანიის კაპიტალიზმზე გასამარჯვებლად.

რომის პაპის გასამართლებას მოითხოვენ

მუშის წერილი.

მოსკოვი. 3 აპრილი. მუშა ფიდოროვი „პრავდაში“ მოთავსებულ წერილში, რომლის სათაურია: „რათ არ ასამართლებენ რომის პაპას“, სწერს: „კათოლიკურ კსენძების გასამართლების დროს ყველა ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ საეკლესიო განძის ჩამორთმევისადმი წინააღმდეგობით ისინი ასრულებდენ უმაღლეს მეთაურის,—რომის პაპის ნებას და დირექტივებს არსებითად, მთავარი დამნაშავეა რომის პაპა, ბრალდებულები კი იყვენ მონაწილენი და აღმსრულებელნი ავტორი კითხულობს, რათ არ არის მოწვეული პასუხის საგებათ მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი — რომის პაპა. განა იმიტომ, რომ პაპა უშუალოთ არ აწარმოებდა წინააღმდეგობას? მაგრამ აკი გავასამართლეთ ტიხონი, რომელიც აგრეთვე არ აწარმოებდა უშუალო წინააღმდეგობას, თუმცა ის იყო ეკლესიის კონტრ-რევოლიუციის მთავარი სულის ჩამდგმელი.

ვერ გაგვამართლებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ რომის პაპა საბჭოთა რუსეთის ფარგლების გარეშე იმყოფება. ბურჟუაზიული მთავრობები ბრალდებულთა დაუსწრებლათ გამოქონდათ მუშებისათვის სიკვდილის დასჯის ან კატორღის განაჩენი. მათ გამოაქვთ განაჩენი მაშინაც, როდესაც დარწმუნებული არიან მის განხორციელებაში ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ **ადრე თუ გვიან ბურჟუაზიული იტალია საბჭოთა სახელმწიფოთ გახდება და ჩვენი განაჩენი სისრულეში იქნება მოყვანილი იტალიის პროლეტარიატის მიერ.** მაგრამ იმ შემთხვევაშიაც, თუ განაჩენი არ განხორციელდება, მას ღრმა მნიშვნელობა ექნებოდა. პაპა მორწმუნე კათოლიკეთა შორის უცოდველ, წმიდა, თითქოს ზე-ბუნებრივ არსებათ ითვლება. ჩვენი სასამართლო კი ნათელს მოფენდა საეკლესიო ხელისუფლების ნამდვილ ბუნებას მრავალი მილიონი დაბრმავებულ ადამიანების დასანახავათ. მორწმუნენი შეიგნებდენ, რომ ჩვენ ვასამართლებთ მათ მეთაურს იმისთვის, რომ ის ეწინააღმდეგებოდა მშიერთა სიკვდილისაგან გადარჩენას და მაშასადამე იმიტომ, რომ ის არის ნამდვილი დამნაშავე მრავალ მშიერთა სიკვდილის“.

სხვადასხვა ამბები

იხდიან ვალებს.

ლონდონი. 3 აპრილი. მექსიკიდან იუწყებიან, რომ მექსიკის საგარეო ვალების გადახდა დაიწყება ერთი კვირის შემდეგ, როცა ნიუ იორკის ბანკების დეპოზიტში შეტანილი იქნება საჭირო თანხები.

ფაშისტური რეფორმები.

რომი 3 აპრ. იტალიის იუსტიციის მინისტრს ოვილიოს პარლამენტში შეაქვს პროექტი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმის შესახებ. კანონპროექტის თანახმათ, მავრობას ევალება შეადგინოს განსაკუთრებული კომისია მთავრობის 18 წევრიდან ახალი კოდექსის გამოსამუშავებლად. კანდიდატებათ კომისიაში დასახელებული არიან ფაქტა, ბონომი, სალანდრა და სხვები.

რუსეთ-ჩინეთის კონფერენციის განახლებისათვის.

მოსკოვი. 3 აპრილი. რ. ს. ფ. ს. რ-ის სრულ-უფლებიან წარმომადგენელმა ჩინეთში ამხ. იოფემ გამოსთქვა კმაყოფილება ჩინეთის წინადადებით განახლებულ იქნას რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკება. მომავალ კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგაციის თავმჯდომარეთ დანიშნულია იმ კომისიის წარმომადგენელი, რომელიც იხილავდა საკითხს მანდჟურის დაბრუნების შესახებ.

გერმანიის ოქროს სესხი.

მოსკოვი. 3 აპრილი. მსხვილ მრეწველების პასიურობის გამო გერმანიის ოქროს სესხით შეკრებილია მხოლოდ 50 მილ. მრეწველთა წრეების უარყოფითი დამოკიდებულებას სესხისადმი შედეგათ მოყვა ის, რომ ხელმოწერა უნდა დაფაროს ბანკებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ სესხს. „ფორვერტსი“ ამბობს: „სესხის შედეგი წარმოადგენს საუკეთესო მასალას გერმანიის მრეწველთა წრეებისათვის ბრალის დასადებათ“. გაზეთი გაკვირვებულა, რომ კაპიტალისტები ანგარიშს არ უწევენ მას, რომ გერმანიაში ბურჟუაზიული მთავრობაა და სესხის არა ხელსაყრელი შედეგები აიძულებენ სახელმწიფო ბანკს ხელახლად გაადიდოს თავისი დეპოზიტები უცხოეთის ბანკებში.

მენშევიკების განცხადება

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას.

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გამოაცხადოთ შემდეგი: ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, საქართველოს მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრები ვაცხადებთ მუშათა კლასის გასაგონათ, რომ მენშევიკურმა პარტიამ ვერ გაამართლა მუშათა კლასის იმედები, დაუკავშირდა ბურჟუაზიის და მუშათა კლასის საწინააღმდეგოთ მუშაობას. მენშევიკები თავიანთ ბატონობის დროს სდევნიდენ მუშათა კლასის ინტერესების დამცველ კომუნისტურ პარტიას და დღესაც სცდილობენ ჩამოაგდონ მუშათა და გლეხთა მთავრობა. არ ვიზიარებთ რა მენშევიკების ტაქტიკას, დღეის რიცხვიდან გამოვდივართ მენშევიკურ პარტიიდან, ვტოვებთ მას და ვალდებულათ ვთვლით ჩვენ თავს ხელი შევუწყოთ არსებულ მთავრობას და მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა ყოველივე მის აღმშენებლობითი მუშაობაში.

1. **ჩიკვაძე** დარისპან	პარტ. წევრი	1905 წ.
2. **შარაშიძე** მიხაკო	„	1905 წ.
3. **გურგენიძე** ხარიტონ	„	1905 წ.
4. **კალანდაძე** სამსონ	„	1903 წ.
5. **სიხარულიძე** მიხეილ	„	1905 წ.
6. **შარაშიძე** ვასილ	„	1904 წ.
7. **გურგენიძე** მიხეილ	„	1918 წ.
8. **სიხარულიძე** ლადიკო	„	1903 წ.
9. **სიხარულიძე** ფილიპე	„	1905 წ.
10. **მგალობლიშვილი** მელიტონ	„	1905 წ.
11. **სიხარულიძე** გიორგი	„	1918 წ.
12. **შარაშიძე** დომენტი	„	1905 წ.
13. **სიხარულიძე** სარდიონ	„	1917 წ.
14. **გურგენიძე** ვალერიან	„	1918 წ.
15. **კეკელიძე** ბიქტორ	„	1917 წ.
16. **კეკელიძე** ლავრენტი	„	1917 წ.
17. **კეკელიძე** გრიგოლ	„	1917 წ.
18. **შარაშიძე** გიორგი	„	1906 წ.
19. **გურგენიძე** ირაკლი	„	1904 წ.
20. **სიხარულიძე** გიორგი	„	1904 წ.

პატივცემულო რედაქტორო!

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, ყოფილი წევრები სოც. დემ. მენშევიკური პარტიისა, დავრწმუნდით რა ხსენებულ პარტიისაგან მუშათა კლასის მიმართ ღალატში, ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ ბოლშევიკური მთავრობა არის მუშებისა და გლეხების ნამდვილი ინტერესების დამცველი და ვსდგევართ საბჭოთა სისტემის თვალსაზრისზე.

1. **ბერიძე** პამფილ ივანესძე	პარტ. წევრი	1905 წ.
2. **მგალობლიშვილი** ლავრენტი კონსტ.		1917 წ.
3. **გორდელაძე** იორდანე დავით.	„	1902 წ.
4. **თოდრია** ბესარიონ ლუკასძე	„	1905 წ.
5. **თოდრია** პოლა ანტონისძე	„	1918 წ.
6. **მგალობლიშვილი** ნიკოლოზ სიმონისძე	„	1905 წ.
7. **ბერიძე** ნიკიფორე კონსტან.	„	1905 წ.
8. **ჯინჭარაძე** ნესტორ ერდიშელისძე	„	1909 წ.
9. **ბერიძე** ვანო როსტომისძე	„	1918 წ.
10. **ჯინჭარაძე** პანტელეიმონ გაბრ.	„	1918 წ.
11. **ჯინჭარაძე** ტროფიმე	„	1918 წ.
12. **ჯინჭარაძე** ილარი	„	1918 წ.
13. **ჯინჭარაძე** ვლადიმერ	„	1918 წ.
14. **პაპიძე** გერასიმე	„	1918 წ.
15. **ჩანტლაძე** ლეონტი	„	1907 წ.
16. **ჩანტლაძე** ფრიდონ	„	1908 წ.
17. **მგალობლიშვილი** დიმიტრი	„	1918 წ.
18. **მიქელაძე** აკაკი	„	1918 წ.
19. **მეგრელიძე** მიხეილ იესესძე	„	1918 წ.
20. **გორდელაძე** ბიქტორ იორდანესძე	„	1919 წ.
21. **ჯინჭარაძე** ბარნაბე გაბ.	„	1903 წ.
22. **კობიძე** ნიკოლოზ გიგოსძე	„	1919 წ.
23. **ჯიქია** ილარიონ გიორგ.	„	1916 წ.

იოკეთი, 27 მარტი.

ამხ. რედაქტორო!

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი მუშები, ძველი წევრები ეგრეთ წოდებული სოც. დემოკრ. მუშათა პარტიისა (მენშევიკების) ჩვენს თავს ვსთვლით ზნეობრივათ მოვალეთ გავაგებინოთ ს. ს. ს. რეს. და ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხს შემდეგი:

1) ჩვენთვის ეხლა ნათლათ სჩანს, რომ მენშევიკური პარტია, მთელი თავისი არსებობის დროს და განსაკუთრებით კი, თებერვლის რევოლიუციის პერიოდში და ოქტომბრის [illegible] სისტემატიურათ ღალატობდა და ჰყიდდა მუშათა კლასის ინტერესებს უთანხმდებოდა რა ბურჟუაზიულ პარტიებს.

2. საქართველოში ნამდვილი მუშათა და გლეხთა საბჭოთა მთავრობის დამყარების შემდეგ, მენშევიკური პარტია შევიდა ბლოკში ყველა ბურჟუაზიულ, ნაციონალისტურ კონტრ-რევოლიუციონურ პარტიებთან. ამით მან დაადასტურა თავისი ბუნებრივი კავშირი ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან ნაციონალური შუღლის გამწვავებით და ერთი ერის მშრომელთა მეორე ერის მშრომელებზე გადამტერებით. ის უკავშირდება სხვა და სხვა ბანდიტებს და სურთ აამხედრონ საქართველოს მშრომელი ხალხი მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ და მით ისინი დაღუპონ.

3) ქვემორე ხელის მომწერნი, რომლებიც ერთ დროს ვიყავით მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონური იარაღი, ეხლა გულწრფელად ვაცხადებთ, რომ მზათ ვართ ყოველ დროს გამოვიდეთ მუშურ გლეხური სასამართლოს წინაშე დავამოწმოთ და დავამტკიცოთ, რომ მენშევიკური პარტია შედიოდა კავშირში ბანდიტებთან, აწყობდა ძარცვა გლეჯას, მკვლელობებს და სხვ.

ვსწყვეტთ ყოველგვარ კავშირს ამ ბანდიტების, მკვლელების და მუშათა და გლეხების გამყიდველ პარტიასთან, ყოველი მხრით მხარს ვუჭერთ მუშათა და გლეხთა საბჭოთა მთავრობას და შევეცდებით, რომ მოვიხადოთ ჩვენი დანაშაულება საქართველოს მშრომელი ხალხის წინაშე.

1. **ძიძინაშვილი** დიმიტრი ზაქარიასძე	პარტ. წევრი	1902 წ.
2. **შქელიძე** დიმიტრი ნიკოლოზისძე	„	1902 წ.
3. **პატარქალაშვილი** კოტე იოსებისძე	„	1907 წ.
4. **ბარამიძე** სილოვან ვასილისძე	„	1905 წ.
5. **ალახანია** სამსონ სტეფანესძე	„	1900 წ.
6. **იშხანაშვილი** მიშა დავითისძე	„	1900 წ.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ საშუალება მოგვცეთ გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ, ყოფილი წევრები საქ. სოც. დემ. (მენშევიკურ) პარტიის, ვწყვეტთ ყოველგვარ კავშირს ამ პარტიასთან შემდეგი მოსაზრებით.

აღნიშნული პარტია, ნაწილი მეორე ინტერნაციონალისა, დღეს არ სდგას რევოლიუციონერების რიგებში. მისი მოქმედება ხელს უწყობს ბურჟუაზიის გამაგრებას და უმზადებს ნიადაგს კონტრ-რევოლიუციას. მან ვერ გამონახა საერთო ენა კომინტერნთან მსოფლიო რევოლიუციის ამ შტაბთან და ამიტომ მოექცა პროლეტარიატის მტრების ბანაკში. თუ რუსეთში კერენსკისთან ერთად აღნიშნულ პარტიის მოქმედება გზას უკაფავდა კორნილოვის დიქტატურას, საქართველოში მენშევიკური პარტია მივიდა დენიკინ—ალექსეევთან კავშირამდის. ყოველი გულწრფელი რევოლიუციონერი აღშფოთებით უნდა იგონებდეს იმ ხანას, როდესაც ამ.-კავკასიაში და კერძოთ ჩვენში დათარეშობდენ ანტანტის ჯარები—ეს თეთრგვარდიელთა ბანდები.

სოც. დემოკრატიულ პარტიის ტაქტიკამ გერმანიაშიც აუბნია გზა კვალი მუშათა კლასს. იქ ეს პარტია აშკარად უკავშირდება ბურჟუაზიას მუშათა კლასის წინააღმდეგ და ამით ანელებს პროლეტარიატის რევოლიუციონურ ენტუზიაზმს, გერმანიის სოც. დემ. პარტიის მაგალითი ნათლად ამჟღავნებს იმ უტყუარ ფაქტს, რომ ბრძოლა კომინტერნის წინააღმდეგ ამ შემთხვევაში ნიშნავს ანტანტის იმპერიალისტური ზრახვების ხელის შეწყობას. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თვით რევოლიუციის ლოღიკა ავალებს მარქსისტებს მხარი დაუჭირონ კომ. პარტიას მის გმირულ ბრძოლაში, ვინაიდან მებრძოლნი საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ თავის თავად გადავარდნილი არიან მსოფლიო რეაქციის ბანაკში.

ამიტომ მოუწოდებთ ყველას, ვისაც შერჩენია რევოლიუციონური მსოფლმხედველობის ნასახი მაინც, მხარი დაუჭირონ საბჭოთა ძალაუფლებას მის რევოლიუციონურ და აღმშენებლობით მუშაობაში და ამით თავი დაახწიონ კონტრ-რევოლიუციის უფსკრულს.

1. **კვიცარიძე** გ. პ.	პარტ. წევრი	1905 წ.	ინტელიგ.
2. **ჭირაქაძე** ალექსანდრე რაჟდ.	„	1910 წ.	ინტელიგ.
3. **ყვინჩია** იონა ნიკ.	„	1901 წ.	მუშა
4. **დევიძე** ნოე ერმ.	„	1905 წ.	ინტელიგ.
5. **ქერეშაშვილი** გიორგი	„	1917 წ.	ინტელიგ.

იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

მოსკოვი. 3 აპრ. პეკინიდან იუწყებიან, რომ ჩინეთის ყველა დიდ ქალაქებში ხდება მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები. დემონსტრაციები მოითხოვენ პორტ-არტურის და დალნის დაბრუნებას და იაპონიის მოთხოვნილებებზე უარის თქმას.

ფოსტერის პროცესი.

მოსკოვი 3 აპრილ. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით ფოსტერის დაკითხვის დამთავრებისას პროკურორი შეეკითხა მას: ცდილობდით თუ არა ოდესმე თქვენ შრომასა და კაპიტალს შორის ჰარმონია დაგემყარებიათ. ფოსტერმა უპასუხა: „მე არასოდეს არ გადამიდგამს ისეთი ნაბიჯები, რომელიც უაზრო არის, შრომასა და კაპიტალს შორის ჰარმონია შეუძლებელია, სანამ მუშები არ გახდებიან კაპიტალის პატრონები“. კითხვაზე, სურს თუ არა ფოსტერს არსებული წესწყობილების ნაცვლათ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, მან განაცხადა, რომ მას სურს ხელისუფლების მუშების, გლეხების და ფერმერების ხელში გადაცემა.

ლატვიის საპყრობილეებში.

მოსკოვი 2 აპრილი. რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის ლატვიის სექციის ცნობით, ლატვიის საპყრობილეებში ამ ჟამათ [illegible], მუშების გამოკლებით, პოლიტიკურ მოტივებით დატუსაღებული 100 კაცი, რომლებსაც ასამართლებენ ლატვიაში არსებულ მეფის სისხლის სამართლის წესდების მიხედვით. ლატვიის „ოხრანკებში“ ძველებურათ სწარმობს მხეცური წამება.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ევროპის მუშათა ფრონტი

მოსკოვი 2 აპრილი. საზღვარ გარეთიდან ჩამოსულმა პროფინტერნის მდივანმა ამხ. ლოზოვსკიმ რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში დაახასიათა ევროპის მუშათა მოძრაობის ეხლანდელი მდგომარეობა. ყველგან ხდება ნელი, მაგრამ სისტემატიური გადახრა მარცხნით.

გერმანიაში ეს სოც.-დემოკრატიის დაშლით გამოიხატა. გერმანიაში პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მთელმა რიგმა, მეთაურ ორგანოების წინააღმდეგ, გამოსთქვა აზრი ბურჟუაზიასთან ერთიანობის მაგიერ კომუნისტებთან ერთიან ფრონტის შექმნის სასარგებლოთ და წარმომადგენლები გაგზავნა ფრანკფურტის კონფერენციაზე. რამოდენიმე მსხვილმა კავშირმა, — მათ შორის მელითონეთა გიგანტურმა კავშირმა,—გაილაშქრეს მრეწველ მექარხნეებთან ბლოკის წინააღმდეგ რომელსაც ანხორციელებს გერმანიის პროფკავშირთა უმაღლესი ორგანო. ბევრ ადგილას მუშა სოციალ-დემოკრატები კომუნისტებთან ერთათ მუშათა თვითდაცვის რაზმებს, ე. წ. „წითელ ასეულებს“ ქმნიან. სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელი, შინაგან საქმეთა მინისტრი ზევერინგი, განადგურებით ემუქრება მათ. გამემარცხენების სიმპტომს წარმოადგენს აგრეთვე ამსტერდამის ინტერნაციონალის შიგნით მემარცხენე ფრთის ჩამოყალიბება, რომელსაც უკმაყოფილო მასების სათავეში ჩადგომა სურს. საფრანგეთში გამემარცხენება გამოიხატა რევოლიუციონურ კავშირის გაფართოებაში, შრომის უნიტარულ კონფედერაციისა და კომპარტიის გავლენის ზრდაში. გამემარცხენების ძირითადი მიზეზია—გაბატონებულ კლასთა გაძლიერებული შემოტევა, ფაშიზმის საყოველთაო ზრდა, ამსტერდამისა და მეორე ინტერნაციონალის არაჩვეულებრივი გაკოტრება. ფრანკფურტის კონფერენციამ, სადაც მონაწილეობდენ სოციალ-დემოკრატი მუშები, გამოააშკარავა კომინტერნის და პროფინტერნის ტაქტიკის სისწორე.

პარიზის კომუნარების ხსოვნას.

მოსკოვი. 3 აპრილი. საბერძნეთის კომპარტიამ მთელს სახელმწიფოში მოაწყო მარქსის და პარიზის კომუნის ხსოვნის აღსანიშნავი დღე. კრებებზე ესწრებოდენ მრავალრიცხოვანი მასები სიტყვების დროს ისმოდა მისალმების ხმები კომინტერნის, ლენინის, ტროცკის და საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ.

მუშები უკან არ იხევენ.

მოსკოვი. 3 აპრილი. ბერლინიდან მიღებული ცნობების, „კონკორდია“ს ქარხნებში გრძელდება მემაღაროების გაფიცვა. მუშების მოთხოვნილება ნახშირის თვითღირებულებით მიცემის შესახებ არ დააკმაყოფილეს. ბურჟუაზიული პრესა შიშს გამოსთქვამს იმის გამო, რომ პროფკავშირების ლიდერებს ხელიდან ეცლებათ მოძრაობის ხელმძღვანელობა.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ქუთაისის მაზრა.

უმუშევარნი.

ქუთაისი. 3 აპრილი. უმუშევართა რიცხვი ქუთაისის მაზრაში უდრის 1.436 კაცს, აქედან ქ. ქუთაისს ხვდება 630 კაცი. შრომის განყოფილებამ დაარსა უმუშევართათვის შრომის არტელი. იხსნება იაფფასიანი სასადილო. გარდა ამისა შრომის განყოფილება უწევს უმუშევრებს ფულით დახმარებას. იანვარში დარიგდა—30 400 000 მანეთი თებერვალში 86 500.000 მან. უმუშევრებს ეძლევათ აგრეთვე უფასო საექიმო დახმარება.

გორის მაზრა.

პოლიტიკურ განათლების განყოფილება.

გორი. 2 აპრილი. სამაზრო აღმასკომმა გადასცა სამაზრო პოლიტიკურ განათლების განყოფილებას კულტურული ბაღი სივრცით 2 დესტ. ბაღში არის ძვირფასი ხილის კულტურა და საბოსტნე ადგილი. პოლიტიკურ განათლების განყოფილება შეუდგა ბაღის ექსპლოატაციას და ფიქრობს მიიღოს შემოდგომაზე კარგი შემოსავალი თავის საშუალებათა გასაუმჯობესებლად.

ახალ-სენაკის მაზრა.

განათლების მუშაკთა კავშირში.

ახალ-სენაკი. 2 აპრილი. უკანასკნელ ხანებში განათლების მუშაკთა კავშირის წევრთა შორის მუშიობა ძლიან გაცხოველდა რაიონებში იმართება კონფერენციები, რომელთაც აქვთ საქმიანი ხასიათი. კონფერენციები ჩატარდენ მაზრის ყველა 6 რაიონში ახალ-სენაკის რაიონის კონფერენციაზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია მოსკოვის წითელ პროფი ტერნის და ამსტერდამის ყვით პროფინტერნის შესახებ გაკე რეზოლიუციის გამო. მოსმენილ მოხსენებანი განათლების მ კავშირის ამოცანების შესახებ; გარიში სრულიად საქართველო ნათლების მუშაკთა 2-ე ყრილობი შესახებ. ახალი სატარიფო განაკვეთ სავსებით აკმაყოფილებს სამასწავ ლო პერსონალს.

მინდვრის სამუშაოები.

ახალ-სენაკი. 2 აპრილი. თ ლის დასასრულში და მარტის ველ რიცხვებში იყო გვალვა, ხელი შეუშალა ხვნას. მარტის ნახევარში დაიწყო ხშირი წვ რამაც ზიანი მიაყენა მინდვ მუშაობებს. უკანასკნელი 2 დღის გან მავლობაში კარგი ამინდებია გლეხე ბი შეუდგენ მინდვრის სამუშაოებს.

ა ჭ ა რ ა.

პროკურატურა. ამ ჟამათ აჭარ რევტრიბუნალის პროკურატურა შ უდგა მხოლოთ საორგანიზაციო მ შაობას. ამას გარდა შიქციულია რაღლება ცოტათ თუ ბევრ მნიშვნელოვან საქმეების მოგ ბას, როგორც მაგალითად გამო ბის სისწორეს, განაჩენის კანო რობას და სხვ. აჭარის რევტრიბ ლის მოწყობის შემდეგ ბრალმდ ლის როლში გამოვა პროკურო იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არ დანიშნული პროკურორის თანა წენი ბრალმდებლებლათ ინიშნ უფლების დამცველთა კოლ წარმომადგენლები.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭ პლენუმის სხდომა

2 აპრილს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში საფაბრიკო—საქარხნო კომიტეტებთან ერთად შესდგა პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები.

1. ურთიერთ დამხმარე კასების ორგანიზაცია.
2. რუსეთის მომგებიან სესხის შესახებ.
3. კულტმუშაობის შესახებ.
4. შრომის ინსპექტორების დამტკიცება.
5. აგარაკების და დასას სახლების შესახებ.

რადგანაც ამ დღეებში პრ შირთა საბჭო სპეციალურ კ აგზავნის აგარაკების დასათვალ ბლად და დასასვენებელ სახლებ ამოსარჩევად, პრეზიდიუმის წინა დებით უკანასკნელი საკითხის გ ჩევა გადაიდო მომავალ პლენუმამ

ურთიერთ დამხმარე კა ბის ორგანიზაცია.

ამ საკითხის შესახებ მოხსენ აკეთებს ამხ. ბახუტოვი. იგი დაწვრ

პატარა ფელეტონი

ეძებენ გამოსავალს!..

ბერლინი. 30 მარტი. „ჯიორნალ დი რომა", იხილავს რა ბელგიის პრემიერის ჟასპარისა და მუსოლინის შეხვედრას მილანში, სთვლის ამას მაჩვენებლათ რურის კონფლიქტში გარეშე ძალთა ჩარევის შესაძლებლობისა. განსაკუთრებით ბელგია, როგორც სჩანს, ცდილობს ნახოს გამოსავალი „რურის ჩიხიდან". თუმცა საფრანგეთს ჯერ არ სურს ამ საქმეში სხვების ჩაზიარება და თვითონ ცდილობს გამოსავლის მონახვას, მაგრამ ჟასპარი და მუსოლინი ჰფიქრობენ უკარნახონ ის საფრანგეთის მთავრობას. (დეპეშებიდან).

შეხეთ, ბელგიაც კი სდგება ცერზე
და რურს გაჰყურებს შეძრკალი სერზე...
როცა იქ ხედავს ფრანგების ჯარებს,
ეს მას სულსა და გულს უშხამ-უშწარებს...
ნდომას ადგება მას პირში ნერწყვი
და გაგიჟებას უკლია ბეწვი!
შურით აყოლებს რა იქ ჯარს თვალსა,
ეძებს „ჩიხიდან" გამოსავალსა.
„ჩიხს" კი ერთი აქვს გამოსავალი,—
ეს არის ფრანგთა გზა, წასავალი!
და თუ იმ ჯარმა იბრუნა პირი,
„ჩიხსაც" დასტოვებს „ფრანგთა ნახირი"!..

ონისიმე.

ლეჟით ეხება ურთიერთ დამხმარე კასების მდგომარეობას საქართველოში. 1923 წლის პირველ იანვრისათვის ტფილისში 12 კასა ირიცხებოდა, ბათომში—10, სოხუმში—7, ბორჯომში—4 კასების წევრთა რიცხვი სულ 14 000 უდრიდა, რაც პროფკავშირების წევრთა მთელ რაოდენობის 24,1 პროც. შეადგენს. საჭიროა მუშაობის გაფართოება და ისეთ მდგომარეობის მიღწევა, რომ პროფკავშირთა წევრების მთელ რაოდენობის 50. პროც. მაინც ირიცხებოდეს კასის წევრად.

შემდეგ მოხსენებელი ეხება ურთიერთ-დახმარების ორგანიზაციის ფორმას. არის ურთიერთ დახმარების ორი ფორმა—ურთიერთ დამხმარე კასა და ურთიერთ დამხმარე ფონდი. პირველი ურთიერთ დახმარების რაციონალურ ფორმაა და დაყრდნობილია ნებაყოფლობაზე; ჩვენმა კავშირებმა ამოირჩიეს კასების ორგანიზაციის ფორმა. კასები უნდა მოეწყოს წარმოებათა ცალკე დარგებში კი არა, არამედ კავშირებში. კასიდან აღებული ფული უნდა იყოს დაბრუნებული, მაგრამ შესაძლებელია დაუბრუნებელ სესხის გაცემაც. მომხსენებელი მომხრეა იმის, რომ კასის სესხის რეალური ღირებულება უბრუნდებოდეს.

რეზოლიუცია.

მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც შეიცავს შემდეგ მთავარ დებულებათ:

1) ცნობილ იქნას აუცილებლად წევრთა ნება-ყოფლობაზე დამყარებულ დამხმარე კასების ორგანიზაცია და არა ფონდების. (კასაში შესატანა). 2) ერთ პროცენტიან ანარიცხების შეტანა კასაში პერსონალურად უნდა სწარმოებდეს. 3) კასის წევრის ერთ სამუშაოდან მეორეზე გადასვლის დროს, ის ინარჩუნებს ახალ კავშირში კასის წევრობის უფლების და ძველ სტაჟს. 4) დამხმარე მოქმედების გაფართოებასთან ერთად მოხდეს კასების ცენტრალიზაცია რესპუბლიკის ფარგლებში. 5) აღებული სესხი უნდა უბრუნდებოდეს კასას, ნომინალურ თუ რეალურ ღირებულებით ამის გამორკვევა დაევალოს თვით კავშირებს.

მომგებიანი სესხი.

რუსეთის ოქროს 6 პროც. მომგებიან სესხის შესახებ მომხსენებელი ამხ. ანანოვი არკვევს ამ სესხის ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას საბჭოთა რუსეთისათვის და წინადადებას იძლევა პროფკავშირებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ სესხის რეალიზაციაში. პლენუმმა დაადგინა ჩატარებულ იქნას კამპანია მომგებიან სესხის შესახებ.

კულტურული მუშაობა.

ამის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ყურულაშვილი. მოხსენების ძირითადი დებულებები შემდეგია. საჭიროა კულტ-მუშაობის გაფართოება და გაღრმავება. საჭიროა კავშირების კულტ-განყოფილებებმა ყურადღება მიაქციონ წიგნების შეძენას და გაზეთების გავრცელებას; ეროვნულ უმცირესობათა ინტერესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დავიწყებული. საჭიროა ახალი კლუბების ორგანიზაციის უარყოფა, და ამის ნაცვლად არსებული კლუბების გაფართოება. კავშირებს ც. პ. კ. კულტ. ფონდის გასაძლიერებლად უნდა შემოიტანონ 15 პროც. ანარიცხები ყოველთვიურად.

მოხსენების დებულებების მიხედვით მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

შრომის ინსპექცია.

დასასრულ დამტკიცებულ იქნა შრომის შემდეგი ინსპექტორები:

ტფილისში.
1 რაიონისთვის—ამხ. ბუგდანოვი.
2 საიონისათვის—ამხ. ჯაჭინოვი.
3 რაიონისათვის—ამხ. სუხარუკოვი.
4 რაიონისათვის—ამხ. სალიაშვილი.

ქალაქის გარეშე რაიონის—ამხ. ამიროვი. ქალთა შორის ინსპექტორად რესპუბლიკის ფარგლებში ამხ. ნინო მახარაძე. ბათომისათვის—ამხ. ქლენტი, და სიღნაღისათვის ამხ. ბუდაღიანი.

პარტიული ცხოვრება

მისალმება ამხ. ფ. მახარაძეს და მ. ცხაკაიას.

ს. ც. კ. კ. შორაპნის მაზრის მე 4 ლეგალური კონფერენცია, რომელიც გაიხსნა ა. წ. 24 მარტს, გულწრფელათ მოგესალმებათ თქვენ, ჭაღარა ბელადებს კომუნისტური პარტიისას. კონფერენცია ღრმადაა დარწმუნებული, რომ თქვენი შეუდრეკელი ბრძოლა წარსულში და მომავალში—მისაბაძი მაგალითი იქნება ჩვენთვის—მშრომელი ახალგაზრდობისათვის.

იყავით დღეგრძელნი მუშათა კლასის საკეთილდღეოდ.

კონფერენციის პრეზიდიუმი.

რეგისტრაციისათვის.

— საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ტფილისის კომიტეტი უკანასკნელათ მოაგონებს კავშირის ყველა წევრებს და კანდიდატებს—პოლონელებს და პოლონური ენის მცოდნეთ, რომ საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს კავშირის დისციპლინის წესით (ყველა იმათ ვინც ჯერ რეგისტრაციაში არ გატარებულა) გატარებულ იქნან რეგისტრაციაში ორი დღის განმავლობაში. რეგისტრაცია იქნება წარმოებული ა. წ. 3 აპრილიდან—5 აპრილამდე ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში დილის 2 საათიდან—3 საათამდე და პოლონელების მუშათა კლუბში (ნიკოლოზის ქ. № 59) 4 საათიდან—7 საათამდე.

ყველა რაიკომებს წინადადება ეძლევა თვალყური ადევნონ ამის შესრულებას და ყველა პოლონელს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრს მოსთხოვონ რეგისტრაციაში გატარების ნიშანი ყველა ისინი, ვინც ამას არ შეასრულებენ, მისცენ პასუხისგებაში.

ტ. კ. მდივანი დოლიძე.

სენაკის მაზრა

(პარტმუშაობა თებერვლის განმავლობაში)

ორგანიზაციული მუშაობა. ეს მაზრა თავიდან შესანიშნავი იყო პარტმუშაობის მხრივ. საანგარიშო თვეში მიღებულ იქნა საბოლოვო დასტური პარტწმენდის შედეგების შესახებ. გაწმენდის შემდეგ ორგანიზაცია წარმოადგენს შემდეგ სურათს: საინსტრუქტორო რაიონი—12, თემკომი—57 და უჯრედები 127, წევრების რიცხვი უდრის 1051. ყველა თემებში ჩატარებულ იქმნა მეორე სამაზრო პარტკონფერენციისათვის მოსამზადებელი მუშაობა. ორგანიზაციების გასამაგრებლად მოეწყო პარტაპარატების გადახალისება: ხელახლად არჩეულ იქმნენ თემის კომიტეტები, უჯრედების მდივნები და ქალთა შორის მომუშავე ინსტრუქტორები.

მიწის რეფორმის ჩატარება. უმთავრეს ამოცანას საანგარიშო თვეში შეადგენდა მიწის რეფორმის ჩატარება. ამ მიზნით მაზრა დაყოფილ იქმნა 14 რაიონათ, რომლებშიაც დაგზავნილ იქნა თითო ინსტრუქტორი. თემებში მოხდა მიწის კომიტეტების გადახალისება უღარიბესი გლეხების შეყვანით მათში. ასეთი შემადგენლობის მიწკომები, როგორც მოსალოდნელი იყო, ატარებენ მიწის რეფორმას სავსებით დეკრეტისა და პროლეტარულ-რევოლიუციონური სინდისის თანახმად, რის შედეგი ფრიად დამაკმაყოფილებელია.

მარტო ახ.-სენაკის რაიონში დღემდე ჩამორთმეულია სახნავ-სათესი მიწა 832 ქცევა და ტყე 187 ქცევა. სხვა რაიონებში ჩამორთმეულ მიწების რეგისტრაცია სწარმოებს. 4 ფეოდალ მემამულისაგან ჩამორთმეულია ექვსი სახლი თავისი ეზოთი და ინვენტარით. დანარჩენ მემამულეების და სახლების რეგისტრაცია ჯერ არ დამთავრებულა.

ანტირელიგიური კამპანია. საანგარიშო თვეში ჩატარებულ კამპანიების რიცხვიდან აღსანიშნავია ანტირელიგიური კამპანია.

ეს კამპანია ჩატარდა ისეთი ელფერით, რომ გადააჭარბა პარტკომის მოლოდინსაც. მის ჯეროვნად ჩატარებას ხელი შეუწყო სოფ. მოწამეთაში 18 თებერვალს მომხდარ დავით და კონსტანტინეს „ნეშთების" გახსნამ, რასაც დაესწრო მაზრის ყველა თემებიდან თითო წარმომადგენელი. უკანასკნელნი არჩეულ იყვნენ განგებ მორწმუნეთა წრიდან, დაბრუნებისას მათ მიერ საზოგადოების წინაშე მთელი ნახული სურათის მიუდგომლად გადაშლამ ყველას დაუნადა ეჭვები რელიგიის მიმართ, თვით ფანატიკურ მორწმუნეებსაც კი. ასეთ ხელსაყრელ პირობებში პარტკომმა გაიჩაღა ფართე ანტირელიგიური კამპანია, მიტინგებს ესწრებოდა აუარებელი ხალხი. ყველგან გამოქონდათ დადგენილებები ეკლესიების გაუქმებისა და მათი კლუბებათ, სახალხო სახლებად და სკოლებად გადაკეთების შესახებ. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა მაზრაში ეკლესიის გაუქმების წინააღმდეგ წასვლისა; ორიოდე ღრმა მოხუცებულებისა და პროვოკატორების ხმა იკარგებოდა სამღვდელოებისა და რელიგიის წინააღმდეგ ამხედრებულ ზღვა ხალხის ხმაში. მღვდლებს ვერსად ვერ გაუბედიათ საწინააღმდეგო გამოსვლა, მიტინგზე გამოჩენაც კი. მღვდლები და ეკლესიის სხვა მსახურნი შემოდიან სამაზრო აღმასკომში თხოვნით, რათა მათ მიეცეს ვადა ანაფორის საერთო ტანისამოსით შეცვლისა. მარტის 5-სათვის მაზრაში გაუქმებულ იქნა ეკლესიების ნახევარზე მეტი. განზრახულია გაუქმებულ ეკლესიებში მოეწყოს წარმოდგენების და სურათების უფასო ჩვენება (მოძრავი კინო) და სხვა.

მუშაობა ქალთა შორის. თებერვლის თვეში მუშაობა გამოიხატება უპარტიო ქალთა კონფერენციისათვის მოსამზადებელ მუშაობის ჩატარებაში. თემის კომიტეტებს დაევალა ცირკულიარული წერილები ქალთა კრებების მოსაწვევად და დელეგატების არჩევის შესახებ. ქალთა განყოფილების ინსტრუქტორის მიერ შემოვლილ იქნა 7 თემი, სადაც მოეწყო ქალთა კრებები. ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ 25 თებერვლის დღესასწაულის ჩატარებაში.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის. კომკავშირი ეწევა ენერგიულ მუშაობას პარტიის ფართე ხელმძღვანელობითა და დახმარებით. არსებობს მათ შორის მჭიდრო კავშირი და ურთიერთ წარმომადგენლობა.

მუშაობა ტრანსპორტზე. ქ. ახ.-სენაკის რკინის გზის სადგურთან არსებობს კომუჯრედი, რომელშიაც სისტემატიურად მიმდინარეობს მეცადინეობა. პოლიტიკური მუშაობის საწარმოებლად უჯრედზე მიმაგრებულია კარგათ მომზადებული პასუხისმგებელი ამხ. უჯრედთან არსებობს სამკითხველო და მუშათა კლუბი, დრამატიული დასით, რომელიც რეგულიარულათ მართავს წარმოდგენებს. 24 თებერვალს გაიმართა საზეიმო კრება ტრანსპორტის მუშებისა, სადაც გაკეთებული იქნა მოხსენება წითელი არმიის 5 წლის თავისა და საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავის შესახებ.

დამოკიდებულება საბჭოთა ორგანოებთან. აღმასკომის მუშაობა მიმდინარეობს პარტკომის გავლენისა და იდეური ხელმძღვანელობის ქვეშ. კავშირი მათ შორის მჭიდროა. პარტმუშაობის სიძლიერე მაზრაში ხელს უწყობს საბჭოთა აღმშენებლობის წარმატებით წარმოებასაც, და მართლაც სენაკის მაზრას ფრიად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საბჭოთა აღმშენებლობის ნორმალური ტემპით მიმდინარეობის მხრივ.

ი. შ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(3 აპრილი)

ოქროს 10 მ.ნ.	7.200
გირ. სტერლ.	4.275
დოლარები	970
ლირები	735
საბჭ. ფულის ნიშნები	16

ვალიუტა ბათომში.

(2 აპრილი)

ლირები	665
ოქროს 10 მ.ნ.	6.251
გირ. სტერლინგი	4.655
დოლარები	979
საბჭ. ფულის ნიშნ.	16

საქონლის ბაზრის ფასები.

(ბათომი)

ხორბალი ყუბ. 460—470, ადგილობრივი 390—420, ფქვილ „კუპეჩესკა"—1700, ფქვილი ადგ. 530—550, კარაქი 16,500, ერბო 9200—9400, თუშური ყველი 5000—5500.

ოფიციალური გარიგებანი.

3 აპრილი.

დადებულია გარიგება რუსულ შაქრის ფუნტზე 6 მ. 60 კ. ფუთი—გამყიდველის ფრანკო-საწყობში და [illegible].

საქონლის ბაზრის განწყობილება.

3 აპრილი.

ხორბლის და პურის პროდუქტების ფასებმა ცოტაოდნათ აიწია. შაქრის ფასმაც მოიმატა, მანუფაქტურის და ქიმიურ ბაზარზე გაცხოველება ეტყობა საერთოდ მიწოდება აღემატება მოთხოვნილებას.

ბირჟის საქონლის განწყობილების მიწოდება:

შაქრის ფხვნილი, მედიკამენტები, ბრეზენტის მოსასხამი, ქვანახშირი, ბარები, სკიპიდარი, სპილენძი, ზეთი, რეზინის ნაწარმოები, მანუფაქტურა, საპნა, მატყლი ბამბა, პრობკა, ლურსმანი, ფქვილი ამერიკული, ბურღული, ცხიმეული ტეხნიკური, წუწუმა რუსული

ბირჟის მოთხოვნილება.

შაქარი, გოგირდი, შაბიამანი, მანუფაქტურა რუსული, პრობკა, მატყლი, ქეჩი, სიმინდი, ხორბალი, ფქვილი „ნელსონი" და „დურუმი", წუწუმა რუსული, თხილი, ფქვილი ყუბანის, ბამბა. გავრული ჯაგარი, მინა, ლურსმანი, თოკი, ტყავი ნედლი.

ქრონიკა

სახ. კომისართა საბჭოში.

— **სესხი.** ყველა ნარკომატებს მიეცა სესხი შეფერხებით მოსამსახურეთა მარტისთვის ჯამაგირისა.

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **ზვრების გაშენება.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატი სოფ. ურიათუბანში (თელავის მაზრა) შეუდგა ზვრების გაშენებას. ამ მიზნისათვის გადადებულია 20 ათასი დეს. მიწა. შენდება მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელი სადგური და ღვინოების შემმოწმებელი ლაბორატორია.

განათლების კომისარიატში.

— **სტიპენდიები.** ამხ. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტებს, რიცხვით 81 კაცს, განათლების კომისარიატის დადგენილებით დაენიშნათ სტიპენდია 10 მან. ოქროთი ყოველ თვიურათ.

— **სტუდენტების გაწმენდის შედეგები ლენინის სახელობის ინსტიტუტში.** სტუდენტების გამწმენდ კომისიამ განათლების კომისარიატის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში დაასრულა სტუდენტების აკადემიური წმენდა. ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტებზე, ირიცხებოდა 3 127 სტუდენტი. გაწმენდაზე გამოცხადდა 2199 კაცი. ვინც არ გამოცხადდა გამორიცხული იქნა მექანიკურად სულ 933 სტუდენტი. არა ბეჯითობისათვის გამორიცხა—122. ცუდ ყოფა-ქცევისათვის—9. სპეკულიაციისათვის 4. დეზორგანიზაციისათვის—24. გაწმენდაში მოყვა სულ 1122. დატოვებული იქნა ინსტიტუტში 2028 სტუდენტი.

ქალაქის აღმასკომში

— **კომუნალური გადასახადი.** ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე, რათა სამხედრო დაწესებულებებს და სამხედრო პირებს აღარ მიეცეთ უფასოთ წყალი და ენერგია, რისთვისაც აღძრას შუამდგომლობა სახ. კომ. საბჭოს წინაშე, სათანადო საშუალებების გამოსანახავად.

— **ქუჩების მორწყვა.** საადგილმამულო კოლეგიამ დაავალა ამხ. სალაძეს გამორკვიოს პლეხანოვის პროსპექტის მორწყვისა და არხის შეკეთების საკითხი და წარმოადგინოს სათანადო მოხსენება.

— **მარგილების დამზადება.** ამავე კოლეგიამ ამხ. სულიაშვილს დაავალა შეუდგეს განყოფილებისათვის საჭირო რაოდენობის მარგილების დამზადებას, რომლებიც მოხმარებული იქნება ქალაქის ბაღების საჭიროებისათვის.

— **ქალაქის ბაღები.** აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების კოლეგიამ დაადგინა ქალაქის ბაღები დაჰყონ ხარისხებად. ამ მიზნისათვის არჩეულ იქნა კომისია ამხ. ვაწაძის თავმჯდომარეობით.

— **დადგენილება სანერგეების გაყიდვის შესახებ.** აღმასკომის საადგილ მამულო კოლეგიამ სანერგეების გაყიდვის მტკიცე ფასების შემუშავება მიანდო აგრონომიულ ქვე განყოფილებას; ხოლო გამონაკლის შემთხვევაში როდესაც საქველმოქმედო მიზნებისათვის დაწესებულებები თხოულობენ დეკორატიულ მცენარეებს—მიეცეს კოლეგიის თავმჯდომარეს უფლება საჭირო შემთხვევის დროს გასცეს სანერგეები შეღავათიან ფასებში ნამდვილ ღირებულების 30 პროც. დაკლებით.

— **მუშათა სახლები.** ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის საბინაო-აღმშენებლობითი საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის აღმასკომის „ცენტრო-აღმშენებლობის" განყოფილების წინაშე, რათა აღნიშნულ საზოგადოებას პლეხანოვის ქუჩის და მუშტაიდის რაიონში დაეთმოს ადგილი დასასვენებელ სახლების ასაგებად.

მრეწველობა.

— **საპნის და ზეთის მრეწველობა.** ფეიქართა კავშირის სატარიფო ეკონომიურ განყოფილებამ გამოარკვია საპნისა და სამარხო ზეთის სამრეწველო რაოდენობა და წინადადება მისცა საპნის და ზეთის ტრესტს მიიღოს სასწრაფო ზომები სათანადო მასალების შესაძენად, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოების შეფერხება.

სტატისტიკა.

— **მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის დარგში.** სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით შეუდგა ყოფილ სასულიერო კონსისტორიათა, ამ ჟამად კი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, არქივის ფრიად საყურადღებო და ძვირფასი მასალის დამუშავებას მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ. ხსენებულ არქივში თავმოყრილია რამდენიმე ათეული წლის მასალა. სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს თანდათანობით დაამუშაოს 10 წლიანი პერიოდი მაინც; პირველ რიგში—დამუშავდება ომის წინა ხანის 5 წლიანი პერიოდი (1909—1913 წ.). დაწყებული სამუშაო იმ მცირე ცდების გარდა, რომელსაც აწარმოებდა წარსულში კავკასიის ყოფილი სტატისტიკური კომიტეტი პირველი კაპიტალური შრომა იქნება მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობის პროცესების მეცნიერული შესწავლის საქმეში. ამ ჟამად უკვე სწარმოებს პირველადი მასალიდან ცნობების ამოკრება სპეციალურ ბარათებზე განსაკუთრებულ შტატით. მუშაობას ხელმძღვანელობს ს. ც. ს. მოსახლეობის დინამიკის სტატისტიკის განყოფილება.

— **საექიმო სასანიტარო სტატისტიკის დარგში.** სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შორის მიღწეულია სრული შეთანხმება საექიმო-სასანიტარო სტატისტიკის წარმოების საქმეში. ნაცვლად დღემდე არსებულ ფორმებისა, შემოღებულია ერთი მთლიანი საერთო სარეგისტრაციო ბარათი, რომელზედაც აღინიშნება ყველა სახის ავადმყოფობანი. ავადმყოფობის თვითეულ შემთხვევაზედ ბარათი სდგება ორ ცალად, რომელთაგან ერთი რჩება ადგილობრივ სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო მეორე იგზავნება სათანადო ორგანიზაციებში სტატისტიკური დამუშავებისათვის. ხსენებული ბარათები უკვე იბეჭდება და მოკლე ხანში დაგზავნილი იქნება ადგილებზე. ბარათების ხმარება ძალაში შევა მიმდინარე წლის პირველ მაისიდან. ამ გზით მიღებული მასალის დამუშავებაც, მუშაობაში ყოველგვარი პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად—იწარმოებს ერთი საერთო პროგრამით და გაერთიანებული ძალებით სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს და ჯანმ. სახ. კომ. შორის, როგორც ცენტრში (საბოლოო და დეტალური დამუშავების დროს) ისე ადგილობრივ (დაავადების წინასწარი ჯამების გამოყვანის დროს).

პროფკავშირებში.

— **საფეიქრო ცოდნის კურსები.** ახლო ხანში გაიხსნება ექვსთვიანი პროფტეხნიკური კურსები. კურსების მიზანია მსმენელებისათვის სპეციალური ცოდნის შესწავლა საფეიქრო მრეწველობის დარგში.

— **უმუშევრების შესამცირებლათ** ფეიქართა კავშირმა დაადგინა მოსპობილი იქნეს ზედმეტი საათების მუშაობა, თუ ზედმეტ მუშაობას მოითხოვს საქმე, მოწვეულნი იქნენ უმუშევრები.

რკინის გზაზე.

— **ლორის ქონის შეძენა.** რკინისგზის მუშათა კოოპერატივმა ჩრდილო-კავკასიიდან მიიღო 7 ათასი ფუთი ლორის ქონი. რომელიც განაწილებული იქნა განჯის, [illegible], ქიურდამირის, აჯიკაბულის, ბალაჯარის, ხაშურის, სამტრედიის, ბათომის განყოფილებებს შორის. თითო გირვანქა ქონი იყიდება 35 ათას მან.

რევტრიბუნალში.

— აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალი სთხოვს ყველა იმ პირთ, ვინც იყვნენ მაყურებელნი ა. წ. 28 მარტს მომხდარ შემთხვევისა, პლეხანოვის და კირკის ქ. ქ. კუთხეში, 14 წლის მოწაფის, დიმიტრი დურბელაძის, ავტომობილის მიერ სასიკვდილოდ დაშავებისა, გამოცხადნენ რევტრიბუნალის საგამოძიებლო ნაწილში (სასამართლოს ქ. № 32.) ჩვენების მისაცემათ ამ საქმეზე, ა. წ. 14 აპრილამდე ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

სხვა და სხვა.

— **უქმე დღეები.** ა. კ. შრომის სახ. კომ საქართ. რწმუნებულის სამმართველოსა და საქ. პროფ. კავ. საბჭოს დადგენილებით, ყველა სახელმწიფო და კერძო წარმოება, დაწესებულებათა საყურადღებოდ ცხადდება, რომ აღდგომის სადღესასწაულო დღეებად ითვლება 8 და 9 აპრილი (კვირა და ორშაბათი) ხოლო 7 აპრილს (შაბათს) მუშაობა უნდა შესწყდეს დღის 12 საათზე—საზოგადოებრივ აუცილებელ საჭიროებითი წარმოება-დაწესებულებების (მაგ. წყალსადენი, ელექტრონი, ტრამვაი, ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი, აფთიაქი, აბანო, საავადმყოფო და სხვ.) და აგრეთვე სასადილოების, კაფეების, საჩაიეს, სავაჭრო დაწესებულებების და პურის საცხობების გარდა. ზემოხსენებულ წარმოება-დაწესებულებებში (აბანოების გარდა) მუშაობა უნდა იწარმოოს 9 აპრილს. 8 აპრილს მუშაობამ უნდა იწარმოოს წყალსადენსა, ელექტრო სადგ. საავადმყოფოებსა, აფთიაქებსა, ტელეფონსა და ტელეგრაფზე. კინო-თეატრებში მუშაობამ უნდა იწარმოოს 9 აპრილს, ხოლო 7 და 8-ს არ იწარმოებს.

მუშათა ცხოვრება

შრომის შვილო, ნუ შედრკები!

შრომის შვილო, ნუ შედრკები!
თუ გსურს მისწვდე აღთქმის მცნებას,
ჯერ მწარეს სჭამ, შემდეგ ტკბილსა
და მით იგრძნობ გემოვნებას!

—

ამხანაგო, მტკიცედ წინ-წინ!
შიში არ გიხსნის ცხადია,
შეუპოვრად შეებრძოლე
მოიპოვე, რაც გწადია!

—

ამხანაგო, ნუ შედრკები!
არ დახარო მტრის წინ ქედი,
შენვე უნდა გამოსჭედო
შენ ქვეყნის და შრომის ბედი!

—

ამხანაგო, მიდ, გმირულად!
მოუმარჯვე ჩაქუჩს ურო,
რომ შენ წმინდა აღთქმის მიზანს
ჩინებულად ემსახურო.

მუშა—ჩარხი.

„აღდგომა"

ამხანაგებო მუშა-მოსამსახურეებო, მოისმინეთ!

ამხანაგებო! კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელმა ხალხმა თვისი დაკოჟრებული ხელი შეახო ყველაფერ იმას, რასაც ფეოდალურ-ბურჟუაზიული სახე, ფერი და შინაარსი ჰქონდა.

ერთი უძლიერესი იარაღთაგანი მშრომელი ხალხის დამონავებისა და დაჩაგვრისა იყო, და დღესაც არის სარწმუნოება, რომელიც გონებას გვიბნელებდა და გვიხლუნგებდა და თვალებს გვიბრმავებდა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ჩვენი დაუძინებელი და მოსისხლე მტრები ასე თავგამოდებით და თავგანწირვით ამტკიცებდენ და ამაგრებდენ ხალხში სარწმუნოებას.

ამხანაგებო! თუ გინდათ, რომ მშრომელი ხალხის სრული განთავისუფლება სწრაფი ნაბიჯით წავიდეს წინ, საჭიროა და აუცილებელი დავანგრიოთ, მოვსპოთ ის ჩვეულებები და ადათები, რომლებიც ამაგრებენ და აძლიერებენ ხალხში ცრუ მორწმუნოების ფესვებს.

ბრძოლა უკვე დაწყებულია „ღმერთების", „ეშმაკების" და „ანგელოზების" წინააღმდეგ, მაგრამ საჭიროა მისი, ე. ი. ცრუ მორწმუნოების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის გაგრძელება და გაძლიერება.

ამხანაგებო! ამ წლის 8 აპრილს არის ყველასთვის ცნობილი უქმე,— „აღდგომა". ბევრი თქვენთაგანი ამ დღისთვის [illegible] ემზადება; არ გინდათ ტოლ ამხანაგებს „ჩამორჩეთ", „შერცხვეთ" და ეწვიოთ ამ საშინელ სიძვირეში წელში გამწყვეტ ხარჯებს; ამ საკითხს უნდა მიუდგეთ ფხიზელ გონებით.

იესო იყო ჩვეულებრივი ადამიანი, მხოლოდ მან, ე. ი. იესო გვერდში ამოუდგა დამონავებულ ხალხს, ამის გამო იესო გაასამართლეს მაშინდელმა ბურჟუებმა და დასაჯეს სიკვდილით. შემდეგ არ დააყოვნეს და იმავე დღეებში შექმნეს ზღაპარი, რომ იესო „აღსდგა მკვდრეთით". ამხანაგებო! სად გაგონილა და ნახულა, რომ მკვდარი ადამიანი გაცოცხლებულიყოს, და ამდგარიყოს?! შანტაჟისტები!

საჭიროა ამ ზღაპარს ბოლო მოეღოს! ვინ იზამს ამას? მხოლოდ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, როგორ შეიძლება ეს?

სულ ადვილათ: მოიწვიეთ მრავალ რიცხოვანი კრებები და დაადგინეთ არ იუქმონ „აღდგომა"! მის ნაცვლად ვიდღესასწაულოთ მომავალი საერთაშორისო მშრომელი ხალხის დღესასწაული. პირველი მაისი!

ამხანაგებო! უარი ვთქვათ „აღდგომის" დღესასწაულზე და მით შევასუსტოთ საუკუნეობით განმტკიცებული ჩვეულობა, ცრუ მორწმუნეობა.

კ. ხომერიკი.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

კითხვა: ვის მოვალეობას შეადგენს ბინის რემონტი (შეკეთება)?

პასუხი: თუ ბინის დეფექტები (დაზიანება) წარმოშობილია ბინადრის დაუდევრობით ან და მის მიერ განზრახულ მოქმედებით (როგორიც არის მაგ. მინების, ფანჯრების, კარების ამოღება და კედლების გაფუჭება და სხვა), მაშინ თვით ბინადარი ვალდებულია შეაკეთოს ბინა სრულ თავის ხარჯზე.

თუ კი აღნიშნული დეფექტები გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით, როგორიცაა—მაგ., ბინის სიძველე და დიდი ხნის შეუკეთებლობა, მაშინ ბინის რემონტი აუცილებლად ევალება სახლის პატრონს.

კითხვა: შეუძლია თუ არა მდგმურს შეაკეთოს თვისი საცხოვრებელი ბინა სახლის პატრონის ხარჯზე იმ დეფექტების ასაშორებლად, რომელნიც გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო და რომელნიც მოითხოვს აუცილებლივ სასწრაფო რემონტს?

პასუხი: მდგმურს შეუძლიან სახლის პატრონის ხარჯზე შეაკეთოს თავისი საცხოვრებელი ბინა, თუ კი ის ამაზე თავის დროზე და წინდაწინვე აცნობებს სახლის პატრონს ბინის რემონტის აუცილებლობის დასაბუთებით და თუ ამის შემდეგაც სახლის პატრონი მაინც არ მოისურვებს ბინის შეკეთებას.

ბინის შემკეთებელ მდგმურს შეუძლია დაუკავოს სახლის პატრონს ბინის ქირა მანამდის, სანამდის ის ვერ აღადგენს მის მიერ გაწეულ ხარჯებს.

კითხვა: ვის ხარჯზე ხდება სახლებში საერთო კიბეების დაგვა-გაწმენდა?

პასუხი. კიბეების, ბალკონების და ეკისრებათ თვით მდგმურებს, სახლის პატრონს ევალება მხოლოდ მეეზოვეს შენახვა ეზოს, ტროტუარის და სახლთან ახლო მდებარე ქუჩის ერთ ნაწილის დაგვა და დასუფთავება.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

მუშათა კლუბი

არ ვიცი, რა მიზეზია, მაგრამ ფაქტია, რომ დღემდე ვერ მოწესრიგდა მუშათა კლუბში ქართულ წარმოდგენების დადგმა. ხუთი თვის წინ, ისიც მხოლოდ ერთ თვეს, სც. მოყვ. სიხარულიძეს დასი მართავდა კვირაში ერთ წარმოდგენას და მაშინაც რეპერტუარიც და დასიც ისე სუსტი იყო, რომ ხალხი მას არ ესწრობოდა. ბოლოს კი დასი დაიშალა და წარმოდგენების დადგმაც იმდღიდანვე შესწყდა და აგერ 4 თვეზე მეტი იქნება, რაც მუშათა კლუბს ქართული პროლეტარული წარმოდგენა აღარ ღირსებია. და რუსულ წარმოდგენებით კი მუშათა კლუბი უხვად არის გაბედნიერებული. ამ თეატრის სულის ჩამდგმელად შეიძლება ჩაითვალოს რუსი დამსახურებული მსახიობები შესტოვი და ბარმატოვი. მათმა ნიჭიერ თამაშობა და შესაფერ რეპერტუარმა გაყინული მუშათა კლუბის თეატრი გაათბო. ამათ მიბაძეს სომხებმაც, რომელნიც მსახიობ ალიხანიანის რეჟისორობით და ისეთივე რევოლიუციონურ რეპერტუარით კვირაში ორჯელ სომხურ წარმოდგენას მართავენ.

წარმოდგენებს ხალხი საკმაოდ ესწრობა.

როდესაც კლუბის გამგეს ამხ. ქელიძეს მივმართე კითხვით, თუ რას ნიშნავდა ქართულ წარმოდგენების ასე დავიწყება, მან მიპასუხა: „ენერგიული ხელმძღვანელი და კარგი მსახიობები ვერ ვიშოვე. ეხლა სახალხო სახლიდან ვიწვევთ ქართულ დასის ხელმძღვანელს და შეიძლება მოვაწყოთ რამე"-ო. საჭიროა ეს საქმე რაც შეიძლება დაჩქარებით მოგვარდეს. მასთან საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ წარმოდგენები მუშათა კლუბში ძალიან გვიან თავდება, (ღამის 1—2 საათზე), რაც ამხ. ამხ. მუშებისათვის ძალიან დამღალავი და მიზანშეუწონელია. უკეთესი იქნება, რომ წარმოდგენები თავდებოდეს საღამოს 11—12 საათზე.

გიორგი ჩარხიშვილი.

სამართლიანი განაჩენი

მიმდინარე წლის 21 მარტის მეორე რაიონის სახალხო სასამართლომ გაარჩია მოქ. ელენე კურილოს საჩივარი სახალხო კვების კავშირის წინააღმდეგ. საქმის ვითარება მდგომარეობს შემდეგში:

მოქ. კურილოს ჰქონდა იჯარით აღებული კარლ მარქსის სახელობის კლუბში ბუფეტი, სადაც ის ამუშავებდა რამოდენიმე მუშა-მოსამსახურეს დღე და ღამ და ფულებს კი არ აძლევდა.

ამ ამხ. მუშებმა თავისი აუტანელი მდგომარეობა გააცნეს თავის პროფკავშირს. პროფკავშირმა მიიღო სასწრაფო ზომები და შრომის კომისარიატთან არსებულ საკონფლიქტო კომისიასთან შეთანხმებით დაადგინა—გაიყიდოს საჯაროდ მოქ. კურილოს კუთვნილი ბუფეტის ინვენტარი (ქონება) და ამ გვარად აღებულ ფულით გასტუმრებულ იქნან ამხ. მუშა-მოსამსახურენი.

ამის შემდეგ, ადმინისტრატიული წესით, შრომის კომისარიატის მოწერილობის თანახმად, კურილოს ქონება გაყიდულ იქნა საჯაროდ და მუშა მოსამსახურეებმა კი მიიღეს თავის ჯამაგირები.

მაგრამ ობობა—ვაჭარი ქალი ამას ვერ შეურიგდა და მიჰკო ძველებურ ხრიკებს ხელი. ვიღაც ძველს ვექილს არზა დააწერინა და სახალხო სასამართლოში პროფკავშირზე საჩივარი შეიტანა, რომლითაც ის კავშირიდან მოითხოვდა თავის საქონლის დაბრუნებას ან და მის საფასურის ანაზღაურებას. მაგრამ მოქ. კურილოს იმედები გაუცრუვდა აქაც. მან სახალხო სასამართლოსაგან თავის ძიებაზე კატეგორიული უარი მიიღო და კავშირის მოქმედებანი, რომელიც მიმართული [illegible] მუშათა ინტერესების დაცვისაკენ, როგორც რიგი და კანონი მოითხოვდა, ცნობილ იქნა სამართლიანად და სრულიად კანონიერად.

დამსწრე.

მუშათა ქრონიკა

წარმოდგენა წითელ არმიელთა სასარგებლოდ.

მიმდინარე წლის 28 მარტს მუშათა კლუბში წითელ არმიელთა სასარგებლოდ დადგმულ იქნა აკაკის კომედია „კინტო". წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. მჭედლიშვილმა და მარგველაშვილმა.

ხელოვნება

— **მწერალთა წლიური კრება.** ხუთშაბათს, 15 აპრილს, ხელოვნების სასახლეში მოწვეულია სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის წლიური კრება. კრება განიხილავს საბჭოს მუშაობას და აირჩევს ახალ საბჭოს.

— **ახალი თეატრი.** საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირის კულტურული განყოფილება აწყობს მინიატიურულ ტიპის თეატრს სადაც წარმოდგენილი იქნება მხოლოდ რევოლიუციონური პიესები. თეატრი გაიხსნება ახლო ხანში.

— **მეორე სახელმწიფო კონსერვატორია.** დღეს, მეორე სახ. კონსერვატორიაში გაიმართება ახალგაზრდა მხატვარის შალვა შევარდნაძის საღამო. საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ ოპერის მსახიობები და პოეტები.

— **საშა წულუკიძის და ეგნატე ნინოშვილის ძეგლები.** მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ დაასრულა საშა წულუკიძის და ეგ. ნინოშვილის ძეგლები. საშა წულუკიძის ძეგლი დაიდგმება ქუთაისში.

— **დახმარება მსახიობ ნიკო გოცირიძეს.** სახ. კომისართა საბჭომ დამსახურებულ მუშათა მსახიობს ნიკო გოცირიძეს 30 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო აღმოუჩინა 100 მილიონი დახმარება.

— **ხელოვანთა სასახლეში.** დღეს, ოთხშაბათს 4 აპრილს, ხელოვანთა სასახლეში (სერგ. ქ. № 13) ელისაბედ ორბელიანი წაიკითხავს ფრანგულად „ქართული ლეგენდები და ზღაპრები". დასაწყისი 8 საათზე.

— **თურქული დრამა.** პარასკევს 6 აპრილს რუსთაველის თეატრში თურქული აკადემიური დრამა მართავს თურქული სცენის 50 წლის არსებობის იუბილეს.

გორგიჯანიძისეული ხელნაწერი „ვეფხის ტყაოსნისა"

(ჰოვანეს თუმანიანის ხსოვნას)

აქამომდე ცნობილი იყო ორი ხელნაწერი ვეფხის ტყაოსნისა დაწერილი სომხების მიერ: ერთი—ვინმე ალმურაანთ ბალდასარას შვილის, მეშრიბ გასპარას მიერ 1671 წელს გადმოწერილი ხელნაწერი, რომელიც მოთავსებულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების № 757 ში (შდრ. ი. აბულაძე, ვეფხის ტყაოსანი, მე-22-ე გამოც., ტფილისი 1914, გვ. 59—L); მეორე კი—გიორგი მე-11 მეფის კარის მგოსნის ბექთაბეგის მიერ 1680 წელს გადმოწერილი ხელნაწერი, რომელიც მოთავსებულია ამავე საზოგადოების № 54-ში (შდრ. ე. თაყაიშვილი, Описание рукописей, т. 2 Тфл 1906—1912, გვ. 573—582; ი. აბულაძე, ხსენ. გამოც., გვ. 58—59)

ორივე საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ: პირველი—თავისი სიძველითა და შინაარსის მხრივ, ხოლო მეორე—თავისი გარეგნულის სახით, ვინაიდან საუცხოვოდ არის შესრულებული სპარსულ გემოვნებაზე (შდრ. ჩემი „სომხები ძველ ქართულ ლიტერატურაში". [illegible] № 7, 1921, გვ. 43).

სომხის კალამს ეკუთვნის აგრეთვე, როგორც ახლა ირკვევა, გორგიჯანიძისეული ხელნაწერი იმავე ნაწარმოებისა დაწერილი 1839 წელს.

ეს ხელნაწერი შემთხვევით შეეძინა აწ განსვენებულ ცნობილ სომეხ მგოსანს ჰოვანეს თუმანიანს და მის წიგნსაცავს ეკუთვნის. იგი ნანახი მქონდა ჰოვანეს თუმანიანის ჯერ კიდევ ტფილისში ყოფნის დროს.

დაწერილია იგი ქაღალდზე, ზომით in folio, სულ 292 გვერდი, თითოში 28 სტრიქონი; მოთავსებულია კარტონის ყდაში, რომელიც გარედამ დაფარულია ტყავით. ტექსტი დაწერილია ლამაზი მხედრულის ხელით შავი მელნით, ხოლო სათაურები და ზოგიერთი ადგილები წითელი მელნით.

ყდაზე წითელ მედალიონზე სომხურადა და ქართულად იკითხება: ავეტიკ გიორგი ჯანოვ („გიორგი ჯანოვის" მაგიერ).

ხელნაწერი ბოლოში 290—292 გვერდებზე მოთავსებულია სარჩევი პოემისა, ხოლო 289 ზე მინაწერები და 292-ის ბოლოში ბეჭედი.

მინაწერი სულ სამია (289 გვერდზე). ყველა იგი მომყავს ჩვენი დროის ტრანსკრიპციით, ვინაიდან სტამბაში ძველი ასოები და ქარაგმები არ მოიპოვებოდა:

1.

„განსრულდა წიგნი ესე ვეფხვის ტყაოსანი დიდება ღვთისა ზედა ამინ".

2.

„მწერლობითა ჩულურეთში მცხო-

ვრებული ავტიქ გორგიჯანიძისაგან კეთილმოდრეკილნო მკითხველნო თუ შეცდომა რამე ახილოთ ნუ შეურაცხმყოფთ არამედ გამოუცდელობასა ჩემსა შეუნდეთ. ჩყლჱსა წელსა ღვინობისთვის 8 სა დღესა

8.

1. ხელი ვერ გამოვიჩინე, ქაღალდმა მიყო ზიანი,
2. მელანმა უფრო ფერითა, მან შექნა მიზეზიანი,
3. ასო ვერ დავსვი გაწყობით, ვერც მუ ლამაზიანი
4. და მაშინცა ვსწერდი ყოველ-დღე, როცა დღე ვნახე მზიანი.

1838 ქორონიკონს ფკზ-სა წელსა 527-სა.

292 გვერდზე სწერია: „ესე ვეფხის ტყაო(სანი)

...„ ამ გვერდზე მოთავსებულ სამ ბეჭედთაგან მხოლოდ მეორესა აქვს მინაწერი, რომელიც იკითხება ასე „მ(ო)ნ(ა) ღვთის (ა) ავტიქ გორგიჯანიძ(ე).

თავისი შინაარსით ტექსტი წარმოადგენს ჩვეულებრივ ვეფხის ტყაოსანს ცოტაოდენ განსხვავებით.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

პროვინციაში

ს. ურიათუბანი (თელავის მაზრა)

ს. ურიათუბანში 700 კომლზე მეტი მცხოვრებია. მიწა აქ ნოყიერია და მოსავლიანი. აქაური მოსახლეობა ეკონომიურად საერთოდ მოღონიერებულია. ამ სოფელს დიდი ხანია, რაც აწუხებდა სუფთა წყლის უქონლობა.

ოცი წლის წინად აღიძრა საკითხი წყლის გაყვანაზე, რომელიც იყო სოფლის თავში, ოთხი ვერსის მანძილზე.

თვითმპყრობელობის დროს გლეხებს თავადების შიში ჰქონდათ, და აქ ხუთი კომლი თავადი ხელს უშლიდენ—წყლის გაყვანაში, რადგან ისინი სოფლის განაპირას ცხოვრობდნენ და წყარო ახლო ჩაუდიოდათ.

ეს საკითხი ვერ გადაიჭრა მენშევიკების დროსაც. მენშევიკების სათემო გამგეობას, რომელშიც კულაკები შედიოდენ ამაზე თავი არ აუტკებიათ.

გასულ წელს აგვისტოს პირველ რიცხვებში თემის საბჭომ დასვა საკითხი წყლის გაყვანაზე, აირჩია კომისია, რომელსაც მიენდო ხარჯთაღრიცხვის შედგენა. მოიწვია მაზრის ტეხნიკი ქურსკი და ადგილობრივი ტეხნიკი რჩეულიშვილი, რომელიც ეხლაც დიდ დახმარებას გვიწევს მუშაობაში.

ხარჯთ-აღრიცხვა იყო 650.000.000 მილიონის და განაწილებული კომლებზე შეძლების მიხედვით. ამრიგად მუშაობა დაიწყო ენერგიულად, წყარო მოიყვანა სოფლის თავამდე მილებით.

ნიკო წვერიკმაზაშვილი.

ს. დაფნარი (ქუთაისის მაზრა გომის თემი)

1923 წელს 22 მარტს შედგა დაფნარის ეკლესიის მრევლის კრება, თავმჯდომარეთ იქნა არჩეული თეოფანე ქორიძე და მდივნათ თედორე თარგამაძე. კრება გაიხსნა ადგილობრივ ეკლესიის შენობაში.

დღის წესრიგში იდგა: ეკლესიის შენობის სახალხო სახლათ გადაკეთება.

სიტყვას ამბობს ადგილკომის მდივანი ს. ნიშნიანიძე, რომელმაც განმარტა სარწმუნოების სიყალბე, მღვდლების გაიძვერობა და მატყუარობა. შემდეგ მოუწოდა ხალხს ის დიდებული შენობები, რომლებშიაც დღემდე სამღვდელოება გუნდრუკის კმევით ღაღადებდა ჭეშმარიტების მაგივრად სიცრუეს, იქნას გადაკეთებული კლუბებად, სამკითხველოებათ და სკოლებად. ასეთი შენობები ჩვენს თემს აქვს თერთმეტი, ცხრა ქვის და ორი ხის შენობა. ამავე საკითხზე ილაპარაკეს აგრეთვე აღმასკომის თავმჯდომარემ ნოე თევზაძემ, ადგილობრივმა მასწავლებლებმა ა. ნიშნიანიძემ და სერ. თარგამაძემ კრებამ ერთხმად დაადგინა: ეკლესიის შენობა გადაკეთებული იქნას სახალხო საკრებო სახლათ, რის მოსაწყობათ აირჩიეს კომისია სამი კაცისაგა, კომისიაში შედიან: იოსებ ამლობელი, ვალოდია ნიკოლეიშვილი და ბენია გიორგაძე. კრება დაიშალა „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

ს. ნიშნიანიძე.

ს. სამიქაო (სენაკის მაზრა)

25 მარტს შედგა საზოგადო კრება სოფ. სამიქაოში. ამ დღეს ამავე სოფლის ყოფილი ეკლესია (რომელიც გაუქმდა რამდენიმე კვირის წინ) გამოცხადებულ იქნა სასოფლო კლუბად ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობაზე. სიტყვები წარმოსთქვეს თემის პარტკომის სახელით ამხ. ამხ. მ. მანჯგალაძემ და ვ. მიქაძემ, რომელთა სიტყვას აღფრთოვანებით შეხვდა ხალხი. ამ დღისთვის სპეციალურად დანიშნული იყო მომწყობი კომისია, რომელმაც შესაფერად მორთო ყოფილი ეკლესიის შენობა კლუბად.

კლუბში გაიმართა ბავშვთა დილა და საღამოს კი ანტირელიგიური შინაარსის წარმოდგენა (უფასოდ) ადგილობრივ სკოლის მასწავლებელთა და სცენის მოყვარეთა საშუალებით.

ს. ჯიქია.

ს. ხორში (სენაკის მაზრა)

1922 წლის 24 დეკემბერს ხორშის თემში შესდგა საზოგადო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ბესარიონ გაბესკირია და მდივნობდა ევგენი ნარაკიძე.

დღიურ წესრიგში იყო დასმული: მთლიანი რვა წლიანი შრომის სკოლის შენობის შეძენა.

ილაპარაკეს ადგილობრივ აღმასკომიდან და თემკომიდან ამხანაგებმა; ილაპარაკეს აგრეთვე ხალხიდან გამოსულ პირებმა. ბოლოს კრებამ გამოიტანა ასეთი დადგენილება: ვინაიდან ხორშის თემში არის ცხრა (9) ეკლესია, რომლებშიაც არც დაიარება ხალხი მღვდლების წირვა-ლოცვის მოსასმენად,—ამ ცხრა ეკლესიიდან რამდენიმე მოხმარდეს მთლიანი შრომის სკოლის შენობას, რომელსაც შეუძლია ნამდვილი განათლების გზას დააყენოს მოზარდი თაობა. დადგენილების სისრულეში მოყვანა დაევალა აღმასკომს. ხალხი სრულიად შეგნებით და აღფრთოვანებით შეხვდა ამ დადგენილებას. კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

გაუმარჯოს შრომის სკოლას!

გაუმარჯოს მშრომელ მასას!

ძირს სარწმუნოება, ეკლესია და სამღვდელოება!

ალექსი ბუკია.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „კომუნისტში“ ჩემს შემდეგ განცხადებას:

ტფილისის კვანძის სირაიონო კავშირმა გამომიცხადა მე ერმალოზ ხაბულიანს, რომ კავშირიდან ვიწმინდები იმიტომ, რომ თითქოს ვინმე გაბისონიას მოვთხოვე ქრთამი. ვინაიდან დღემდე ყველგან ვკითხულობ და ვეძებ ამ პატივცემულ გაბისონიას და ვერსად ვნახე, რათა პირადად დავრწმუნებულიყავი ჩემს მექრთამეობაში, ამით ვთხოვ პატივცემულს გაბისონიას, თუ ასეთი სადმე იმყოფება, კეთილ ინებოს და გამომიცხადოს—მართალია თუ არა ჩემი **ქრთამის მოთხოვნა**. ეს ჩემთვის მეტად საჭიროა, რადგან ვიღაცეებმა ხელში დაიჭირეს ეს გარემოება და მე ცოლშვილიანი კაცი კარში დამტოვეს სრულიად უდანაშაულოდ.

რკინის გზათა პროფკავშირების საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ მე არსად არც ერთ პირისაგან არასოდეს ქრთამი არ მომითხოვნია და არც სხვა ასეთი რამ ტალახიანი საქმე შემთხვევია.

ერმალოზ ხაბულიანი.

ჩვენი ფოსტა

ამხ. „კინჩხელ ძველ მუშას“. ხშირად გამოგზავნეთ კორესპონდენციები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მარქსისტულ წრეების მეცადინეობა

— 1. ოთხშაბათს, 4 აპრილს საღამოს 7—9 საათამდი „შკოლის ჰასაკამდი აღზრდის სახლთან“ არსებული წრე (რუსულ ენაზე), ხელმძღვანელი ამხ. პენიაკოვი.

— 2. ხუთშაბათს, 5 აპრილს საღამოს 6—8 საათამდი „განათლების მუშაკთა სახლთან“ არსებული წრე (რუსულ ენაზე), ხელმძღვანელი ამხ. სუროვენკოვი.

— 3. მეჩქდავეების წრეში მეცადინეობა ხელმძღვანელების ვაგზავრების გამო არ შესდგება,

ს. კ. პ. ც. კ. საგიტ. საპრ. გან.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 ე რაიკომი აცხადებს, რომ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კლუბში (მუშათა სასახლეში) 2 აპრილიდან დაიწყება მთელი რიგი ლექციების კითხვა მსოფლიო-წარმოშობის და ანატომიის შესახებ.

ლექციები მსოფლიოს წარმოშობის შესახებ წაკითხული იქნება ორშაბათობით კლუბის დიდ ან პატარა დარბაზში საღამოს 8 საათზე. ლექციები ანატომიიდან—ხუთშაბათობით კლუბის დიდ დარბაზში საღამოს 8 საათზე.

პოლიტიკური და მარქსისტული წრეების ყველა მსმენელები ვალდებული არიან დაესწრონ ამ ლექციებზე. შესვლა უფასოა ყველასათვის.

მე-4-ე რაიონის პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ: არუსტანოვი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4-ე რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს ამა წლის 4 აპრილს საღამოს 5 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება რაიონის ყველა წევრთა და კანდიდატთა საერთო სარაიონო კრება იმ სამხედრო ნაწილების თანადასწრებით, რომლებიც შედიან მე-4-ე რაიონში.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა პარტდისციპლინის წესით.

პროფესიონალური

— დღეს, ხელოვანთა სასახლეში სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ჯამბაკურ-ორბელიანისა წაიკითხავს ფრანგულ ენაზე ლექციას ქართული ლეგენდების შესახებ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

განათლების მუშაკთა სახლში.

— ოთხშაბათს 4 აპრილს საღამოს 7 საათზე პედოლოგიურ სექციაში—პროფ. უზნაძის მოხსენება თემაზე: ბავშის გამოკვლევის მეთოდები.

— ოთხშაბათს 4 აპრილს საღამოს 5 საათზე საუბარი ტეხნიკურ თანამშრომლებთან „მსოფლიოს წარმოშობის“ შესახებ (ქართულ ენაზე).

— საღამოს 7 საათზე პედოლოგიური სექციის ღია სხდომა. მოხსენებას გააკეთებს პროფ. უზნაძე „ბავშვის სულის გამოკვლევის შესახებ“.

— პარასკევს, 6 აპრილს, საღამოს 5 საათზე საუბარი ტეხნიკურ თანამშრომლებთან „მსოფლიოს წარმოშობის“ შესახებ (რუსულ ენაზე).

სახლის გამგე—შიუკაშვილი-კალიუჟნაია.

განცხადებები

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 295—1—1

დღეს, 4 აპრილს,
ჯ. ვერდი ოტელო
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

კურორტთა მთავარი

სამმართველო

კურორტთა მთავარი სამმართველო ამით აცნობებს ყველა ორგანიზაციებს და სახელმწიფო დაწესებულებებს, რომ შუა და ქვე აბასთუმანში კურორტთა სამმართველოს აქვს რამოდენიმე თავისუფალი აგარაკი, რომელიც მოითხოვს შეკეთებას (ზოგი დიდს). აღნიშნული აგარაკები შეიძლება გაიცეს იჯარით, საჭირო რემონტის მოხდენის პირობით.

ორგანიზაციები და სახელმწ. დაწესებულებები ვალდებულნი არიან განაცხადონ სურვილი აგარაკების იჯარით აღებისა კურორტთა მთავარ სამმართველოში (ტფილისი საპიორის ქ.. 30) არა უგვიანეს ა. წ. 15 აპრილისა, რის შემდეგაც აგარაკები გაცემულ იქნება კერძო პირებზედ იჯარით, სხვა დანარჩენ თანასწორ პირობებთან უპირატესობა მიეცემა ყოფილ მესაკუთრეთ. (კრ. 300 3—1)

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი
ამით აცხადებს ღვინის ბითუმათ მყიდველების საყურადღებოთ, რომ მათ შეუძლიანთ იყიდონ

ღვინო

თბილისის სახალხო ღვინის სარდაფიდან (ყოფ. საუფლისწულო) არა ნაკლები

ასი ბოთლისა ოთხი პროცენტის

დაკლებით არსებულ ფასებიდან. მისამართი: სარდაფის კონტორა, ქ. საუფლისწულო № 1. (483—3—2)

იყიდება კარგად მორთული

სახლი

გაღმით

ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს და გაყიდოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 8, ბინა 2.
401—10—10

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

მთავარი სამმართველოს

მიერ ტფილისიდან 1-ლი აპრილიდან და ბათომიდან აპრილის 2 დან, საგანგებო განკარგულებამდის, დანიშნულია ყოველ დღიურ მიმოსვლისათვის ორი დამატებითი სამგზავრო მატარებელი № № 7 და 8 ტფილის-ბათომის რაიონში თანახმად შემდეგი ნუსხისა:

ტფილისიდან გავა	№ 8	საღამოს 8 საათზე.
ხაშურიდან	„ „	1 ს. 10 წ. ღამით.
მორაპნიდან	„ „	5 ს. 07 წ. დილ.
რიონიდან	„ „	6 ს. 10 წ. დილ.
სამტრედიიდან	„ „	8 ს. 11 წ. დილ.
და ჩავა ბათომში		12 ს. 06 წ. დღის,
უკან ბათომიდან მატ.	№ 7	8 ს. 15 წ. საღამოს.
სამტრედიიდან	„	12 ს. 48 წ. ღამით.
რიონიდან	„	2 ს. 03 წ. ღამით.
მორაპნიდან	„	3 ს. 54 წ. ღამით.
ხაშურიდან	„	9 ს. 17 წ. დილით.
და ჩამოვა ტფილისს დღის		2 საათზე.

№ № 7-8 მატარებელთა შემადგენლობა შესდგება რბილ და მაგარ ვაგონებიდან და ერთ ვაგონ-რესტორანიდან. ვაგონებში ყველა საჯდომი ადგილები დანუმრულია. ამ მატარებლებთან ერთად ტფილის-ქუთაის შორის ივლის აგრეთვე ერთი მაგარი ვაგონი პირდაპირი მიმოსვლით. (291 2—2)

ქ. თბილისის მე-6-ე უბნის სახალხო მოსამართლე
იწვევს თავის კამერაში (სურბ-კარაპეტის ხევი № 3) მოქალაქე ედუარდ გარბუნოვს ნადეჟდა გარბუნოვთან განქორწინების შესახებ დღიდან გამოცხადებისა ორი თვის ვადაში.
(487 1—1) სახალხო მოსამართლე **ხულაძე.**

დავკარგე ხაჩატურ დალაქიანის სახელზე გაცემული შრომის ბირჟის წიგნაკი № 204 577 და მელითონეთა კავშირის წიგნაკი № 651. ჩაითვალოს გაუქმებულად. (486 1—1)

დავკარგე ნიკოლოზ სუხოვიცკის სახელზე ყარსის ოლქში გაცემული პასპორტი. ჩაითვალოს გაუქმებულად. (478 1—1)

დავკარგე შალვა ალექსანდრეს ძის თვალავაძის სახელზე პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტიდგან მოცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად. მოწმობის № 179. (488 1—1)

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი

აცხადებს წევრების საყურადღებოდ, რომ ხუთშაბათს, [illegible] 6 საათზე შესდგება

აღმასკომის სხდომა

განსახილველია საშინაო და მიმდინარე საკითხები.
(კრ. 296—2—2) პრეზიდიუმი

ტარიფი ელექტრონის ენერგიაზე 1923 წ. მარტის თვის

ტარიფი	1 კილოვატი საათი	1 სანთელი თვეში
ა.	185 000 მან.	25 000 მან.
ბ.	170 000	35 000
გ.	200 000	40 000
დ.	235.000	45.000

ტარიფი ა.—ბინები და სახელმწიფო დაწესებულება არა სამეურნეო ორგანოები.
„ ბ.—სახელმწიფო დაწესებულება სამეურნეო ორგანოები და კერძო წარმოებები კატეგორია I.
„ გ.—კერძო წარმოებები კატეგორია II.
„ დ.—კერძო წარმოებები კატეგორია III.

კერძო წარმოებები იყოფა 3 კატეგორიათ:

I. რაიონები დიდუბის, ნაძალადევი და ნავთლუღი.
II. ყველა დანარჩენი გარდა კატეგორიებისა I და III.
III. მდებარე შემდეგ ქუჩებზე: რუსთაველის, პლეხანოვის, სასახლის, სოლოლაკის, ლენინის, თავისუფლების მოედანი, კარლ მარქსის, პუშკინის, შტაბის, პუშკინის შესავალი.

ელექტრონის სადგურების გამგე **აფანასიევი.** კრ. 297—2—2

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ სახალხო კომისარიატის შენობაში მოთავსებულია

მორიგეობა დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე ცენტრალურ ტელეფონთან № 21--30,

რომლითაც უნდა ხდებოდეს ყოველგვარი ცნობების მიღება და ტელეფონოგრამების გადაცემა.
(კრ. 294—2—2)

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური წამლობა მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.

იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 28. (264—25—23)

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1923 წლის 20 აპრილს ის მართავს

შეჯიბრებას სადგურ ტაუზში, აგტაგლიაში, რიონში, ხრესილში (გოდორის წყლები) **წყლის რეზერვუარების შეკეთების იჯარით გაცემაზე.** **შეჯიბრებას**

მუშაობა წარმოებული იქნება სახაზინო მასალებით, რომელიც მოიჯარადრეთ მიეცემა უფასოთ.

თითეული რეზერვუარის შეკეთების ვადა განსაზღვრულია ერთი თვით დღიდან შეკეთების დაწყებაზე უფლების მიღებისა.

ის პირები ან არტელები, რომელთაც სურთ ხსენებული სამუშაოს აღება, მოვალენი არიან წერილობითი განცხადებები ამის შესახებ დახურულ კონვერტში ჩაუშვან ამ მიზნით საბჭოს დარბაზის კარებთან დადგმულ სპეციალურ ყუთში.

კონვერტებზე უნდა იყოს შემდეგი წარწერა „წყალის საქაჩავის რეზერვუარების შეკეთებაზე 1923 წლის 20 აპრილის შეჯიბრებისათვის“.

ერთ პირს ან არტელს შეიძლება გადაეცეს რამდენიმე რეზერვუარის შეკეთების უფლება, მაგრამ პირობები თითეული რეზერვუარის შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნეს ცალკე.

განცხადებების შემოტანის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1923 წლის 20 აპრილის დღის 12 საათი, რის შემდეგ საკონტროლო ორგანოების და ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს წარმომადგენლების თანდასწრებით დაიწყება პაკეტების გახსნა.

ფასები განცხადებული უნდა იქნას ოქროს მანეთებში. ანგარიშის გასწორება კი მოხდება ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით, ვალდებულების ქაღალდის შედგენის დღე ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის ფინსახკომის მიერ გამოქვეყნებულ კურსის მიხედვით.

პირობების შესახებ განცხადებას თან უნდა ახლდეს კვიტანცია ამიერ-კავკასიის რკინის გზების ერთ-ერთ სალაროში განცხადებული ჯამის 10 პროც. ბეს შეტანის შესახებ. იმ პირებს, რომელთაც იჯარა არ მიეცემათ, ბე დაუბრუნდება დაუყოვნებლივ როგორც-კი გამოირკვევა შეჯიბრების შედეგები. ბე შეიძლება უძრავი ქონებითაც საჭირო საბუთების წარმოდგენით.

გასაცემ მუშაობათა შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს წყლით უზრუნველყოფის განყოფილებაში. თითეული რეზერვუარის შესახებ ცნობის მიღება—კი შეიძლება სათანადო ნაწილების უფროსების კანტორებში.

სალერბო, საავადმყოფო, აგრეთვე სამრეწველო და სხვა გადასახადები და გადარიცხვა დამზღვევ ორგანოებისათვის დაქირავებულ მუშების შრომის ხელფასიდან იქნება მოიჯარადრის ხარჯზე. (292. 2—2)

1 მაისს 1923 წ.

სახელმწიფო მომგებიანი ოქროს სესხის 1-ლი ტირაჟი

1 მაისს 1923 წ.

დაჩქარეთ სესხის ობლიგაციების შეძენა 1-ლი მაისისათვის.

პირველი ტირაჟი იძლევა განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებს სესხის ობლიგაციების მქონე პირთათვის.

ამ ტირაჟში მთელი მოგებათა ჯამი 800.000 მანეთი ოქროთი და მთელი მოგებათა რაოდენობა 13169, გათამაშდება სესხის არა ყველა 10 სერიათა შორის, არამედ მხოლოდ—იმ სერიათა შორის, რომელთაც რეალიზაცია ექნებათ 1 მაისისათვის. ეს აძლიერებს მოგების შანსს 2—3 ჯერ. 1 მაისს მომდევ ობლიგაციას მალა არ ეკარგება, მას შეუძლია მოიგოს კიდევ შემდეგ ტირაჟებში—1 სექტემბერს 1923 წ., 1 იანვარს 1924 წ., 1 ივლისს 1924 წ. და შემდეგ ასე. (ორჯერ წელიწადში).

თითეულ გათამაშებაში შევა: თითო მოგება 100,000 მან. ოქროთი, თითო მოგება 50,000 მან. ოქროთი, ორ-ორი მოგება 25,000 მან. ოქრ., 5—10,000 მან. ოქ., 10—5,000 ოქრ., 50—1,000 მან. ოქრ., 100—500 მან. ოქრ., 1000—100 მან. ოქრ., 2,000—50 მან. ოქრ., 10,000—20 მან. ოქრ., 1927 წლამდე, 1928 წლ. 1932 წლამდე ხუთას-ხუთასი (500) მოგება 20 მანეთი ოქროთი.

ობლიგაციები გამოშვებულია 5 და 25 მან. ოქროთი. 25 მანეთიან ობლიგაციას აქვს ხუთი ნომერი, თითეულ ამ ხუთ ნომერთაგანს შეუძლია მოიგოს ცალკე:

ობლიგაციები მიიღება სახელმწიფო იჯარების და მიწოდების გირაოთ და აგრეთვე სააქციზო და საბაჟო გადასახადების უზრუნველსაყოფად ჯამის განუსაზღვრელად: მომგებიან სესხის ობლიგაციებზე საკრედიტო დაწესებულებანი იძლევა სესხს, გირაო—სესხის ოპერაციები განთავისუფლებულია სალერბო გადასახადებიდან.

ოქროს სესხი

აძლევს საშუალებას ყველას უზრუნველჰყოს შეძენილი ქონება ფასის დაკარგვისაგან.
აძლევს საშუალებას ყველას მიიღოს შეძენილი სიმდიდრის 6 პროცენტი წლიურად ოქროს კურსით.
აძლევს საშუალებას ყველას დაიბრუნოს თავისი შეძენილი ქონება ოქროს კურსით ობლიგაციების გაყიდვის დღეს როდესაც უნდა.

✖ სესხის ობლიგაციები იყიდება ამიერ-კავკასიის ყველა საკრედიტო დაწესებულებებში, აგრეთვე—მაზრების ფინანსიურ განყოფილებებში, ხაზინებში, ფოსტა-ტელეგრაფის კონტორებში, საკოოპერაციო ორგანიზაციებში და სხვა ადგილებში. 298 2—1

სახალხო ბანკის სამმართველო

ქართული ბონების გაუქმების გამო

აცხადებს, რომ ა. წ. 10 აპრილიდან

ქართული ბონების გაუქმების გამო

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო ბანკის ვალდებულებანი

გადაიცვლებიან შემდეგში ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე.

(299 3—1)

სახალხო ბანკის სამმართველო.

[illegible] № 1.